

"აგორა"

A5



ბისზე ჩატარებული გენერალური რეპეტიცია

A8



"ჩვენ კიდევ ვიომებთ"

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 22 აგვისტო, 2006 წელი. №187 (1339) | ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**

## სამართალი

### კონტროლი პოლიციის საქმიანობაზე

მიუხედავად შსს-ს მაღალჩინოსანთა მტკიცებისა, რომ ქართული პოლიცია მუშაობის დასავლურ სტილზე გადავიდა, პოლიციელთა მიერ ჩადენილი კანონდარღვევები კვლავ სახეზეა, მართალია, არა წლების წინანდელი ხარისხითა და რაოდენობით, მაგრამ მოქალაქეები პოლიციელთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების - უკანონო დაკავების, ნარკოტიკებისა და იარაღის "ჩადების", ცემა-წამების შესახებ კვლავ ჩივიან.

A2

## ბიზნესი

### მომენტალური სტუდენტური სესხები სს "საქართველოს ბანკისგან"

სს "საქართველოს ბანკმა" კიდევ ერთი ახალი პროდუქტი - "მომენტალური სტუდენტური სესხი" დანერგა. დღეიდან, ნებისმიერი კურსის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს სწავლის დასაფინანსებლად მომენტალურად მიიღოს 3000 ლარამდე სესხი.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 22/08 | 23/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 38 |
| ბათუმი | 36 | 38 |
| სოხუმი | 33 | 36 |
| ქუთაისი | 39 | 41 |
| გორი | 32 | 33 |
| ონი | 27 | 28 |
| ზუგდიდი | 37 | 41 |
| ახმეტა | 37 | 37 |
| სამტრედია | 37 | 40 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7480 |
| ევრო | 2.2540 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3090 |
| რუბლი | 0.0655 |

| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ბიზნესი | A 4 |
| აგორა | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |

# რას ერჩიან ბიზნესს?!

### რაიონის გამგეობა მეწარმის წინააღმდეგ

თეა თედლიაშვილი

გორის რაიონის გამგეობასა და მოიჯარე ნოდარ მაისურაძეს შორის დაწყებული დავა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დასრულდა. გორის რაიონის გამგეობა მაისურაძეს ფართობების უკანონოდ ფლობაში ადანაშაულებდა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ უცვლელი დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ ნოდარ მაისურაძეს რაიონის გამგეობა უკანონოდ ედავებოდა.

მაისურაძე 1997 წლიდან 230 ჰა. მიწის ფართობზე ხორბალს თესავდა. დღეს ქვეყნისთვის ხორბლის წარმოება მეტად მნიშვნელოვანია. საქართველოს ბაზარზე უკვე შეინიშნება ხორბლის ფასის მატება, ადგილობრივი ხელისუფლება კი, რატომღაც, ძალას არ იშურებს იმისთვის, რომ მეწარმეს ხელი შეუშალოს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ჭაბა კანკავა: "ფრანგების წინააღმდეგ მოსაგებად გამოვალ"




კანკავას აღმასვლა "დინამო"-ში დაიწყო.

# გერმანული ღირსება და სინდისი ერთად

### კირხნერის სიგიჟე ბერლინის ქუჩაში




ბერლინი კირხნერის ეპოქაში.

# "ენერგეტიკული აურზაური"

*მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების გადაუხდელობის გამო, ს/ს "თელასმა" ლტოლვილთა კომპაქტურად დასახლებული 392 ობიექტის გათიშვა დაიწყო. გუშინ დენის მიწოდება უკვე შეუწყდა რიგ ობიექტებს, გათიშვების პროცესი დღეს დასრულდება.*

ს/ს "თელასი" ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მოუწოდებს, ლტოლვილთა შეღავათებს გადახედოს და ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრები გამოყოს. ამის შესახებ "თელასის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. მასში ასევე აღნიშნულია, რომ სამინისტროსთვის არაერთხელ მიმართვის მიუხედავად, "ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფის თაობაზე, სამწუხაროდ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა."

როგორც ცნობილი გახდა, დევნილთა დავალიანება წლის დასაწყისიდან, ჭარბად მოხმარებული ელექტროენერგიის გამო, 4 მილიონ ლარამდე გაიზარდა და დღეისთვის 47 მილიონ ლარს შეადგენს. ამ თანხის გადახდის ვალდებულება კი სწორედ დევნილებს ეკისრებათ. დავალიანების ზრდის მიზეზად, ელექტროენერგიის ჭარბ მოხმარებასთან ერთად, პირველი ივნისიდან ელექტროენერგიაზე დადგენილი ტარიფების მატებასაც ასახელებენ.

ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შესახებ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის 11-ე პუნქტის გათვალისწინებით ლტოლვილთა და განსახლებისა და ენერგეტიკის სამინისტროებს 10 აგვისტოს ოფიციალური წერილით წინასწარ ეცნობათ. კომპაქტური ჩასახლების 392 ობიექტს ელექტროენერგიის მიწოდება 2006 წლის დავალიანების - 4 მილიონი ლარის მთლიანად დაფარვის შემთხვევაში აღუდგება.

გუშინ ხმაური იყო საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომაზეც. "ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი გუგავას დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) ს/ს "თელასის" მიერ აბონენტებზე არასწორად დარიცხული გადასახადის საკითხს მომავალ სხდომაზე განიხილავს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ სემეკის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ "ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთ ლიდერთან გიორგი გუგავასთან დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ.

გაგრძელება A4 გვერდზე

# დაზარალებულთა შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიან

მოსკოვში, "ჩერკიზოვსკის" ბაზარში მომხდარი აფეთქებებისას დაიღუპა 12 ადამიანი და სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო 55-მა ადამიანმა. სამართალდამცველები მომხდარი აფეთქების ერთ-ერთ მოტივად კომერციულ დაპირისპირებას მიიჩნევენ. თუმცა, ტერაქტისა და კრიმინალური გარჩევის ვერსიასაც არ გამორიცხავენ.

**"ასაფეთქებელი მოწყობილობის სიძლიერემ დაახლოებით 1,5 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტის სიმძლავრე შეადგინა,"** - ასეთი განცხადება გააკეთა მოსკოვის პროკურორმა იური სემინმა. როგორც სააგენტო "რია ნოვოსტი" იუწყება, სემინის მონაცემებით, დაღუპულია 12 ადამიანი, ხოლო 55 დაზარალებული სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებშია გადაყვანილი. დაღუპულებს შორის 3 ბავშვია.

**"დაღუპულთა მონაცემების, მათ შორის მათი ეროვნების დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია,"** - განაცხადა მოსკოვის პროკურორმა.

"ჩერკიზოვსკის" ბაზარში ორი აფეთქება განხორციელდა. პირველი აფეთქება მოხდა მოსკოვის დროით 10.27 საათზე, ხოლო მეორე - 15 წუთის შემდეგ.

აფეთქება მოხდა ბაზრის იმ ნაწილში, რომელსაც "ევრაზიას" უწოდებენ და ორსართულიან ნაგებობაშია განთავსებული.

მოსკოვის მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს აფეთქებების ორგანიზებაში ორი ეჭვმიტანილი. მოწმეთა მტკიცებით, სლავური გარეგნობის სამმა მამაკაცმა აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე მაგიდასთან ჩანთა დატოვა და მიიმალა. თვითმხილველთა ჩვენების საფუძველზე, მილიციამ შექმნა ფოტორობოტი, რომლის საშუალებითაც მოხდა ეჭვმიტანილთა დაკავება. დაკავებულთა ვინაობას სამართალდამცველები ჯერჯერობით არ ასახელებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საერთაშორისო საზოგადოება სტაბილურობის შენარჩუნების მცდელობაში

*მიუხედავად იმისა, რომ ლიბან-ისრაელს შორის საბრძოლო მოქმედებები დასრულდა, სტაბილურობის შენარჩუნება მხარეთა შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო სულ უფრო და უფრო რთული ხდება. ისრაელის მიერ შაბათს აღმოსავლეთ ლიბანში ჩატარებული რეიდი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა.*

თეა მაისურაძე

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გამოთქვა თავისი კრიტიკული დამოკიდებულება ისრაელის მიერ ჩატარებული რეიდის გამო, რასაც მან სამშვიდობო ოპერაციების წინააღმდეგ მიმართული ქმედება უწოდა. ოფიციალური იერუსალიმი აცხადებს, რომ აღნიშნული რეიდი იმ საბრძოლო ტექნიკის ამოღებას ემსახურებოდა, რითაც სირიამ და ირანმა "ჰეზბოლას" გაუწია დახმარება საბრძოლო მოქმედებების დროს. რეიდის შედეგად ერთი ებრაელი ჯარისკაცი დაიღუპა. "ჰეზბოლა" უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ ოპერაციის დროს მან სამი მებრძოლი დაკარგა.

ოფიციალური იერუსალიმის განცხადებით, ის კვლავ გააგრძელებს ამგვარი რეიდების ჩატარებას მანამდე, სანამ გაერო-ს მრავალეროვნული სამშვიდობო მისია სრული შემადგენლობით არ განლაგდება სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე და არ აღიკვეთება "ჰეზბოლას" მომარაგება საბრძოლო ტექნიკით.

ისრაელის სამხედრო შენაერთების მეთაური, დან ჰალუთსი მიიჩნევს, რომ ლიბან-ისრაელის კონფლიქტი ებრაელთა გამარჯვებით დასრულდა. **"თუ გადავხედავთ საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობას, შესაძლებელია ვთქვათ, რომ ისრაელმა სრული გამარჯვება მოიპოვა,"** - განაცხადა ჰალუთსმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

მოკლედ

## კარცერების ტექნიკური მონიტორინგი

სახალხო დამცველის აპარატმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კარცერების ტექნიკური მონიტორინგი განახორციელა. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე მძიმე პირობები ორთაჭალის N5 და სასჯელაღსრულების N1 დაწესებულებაში, ე. წ. "კრიტშია".

როგორც სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი გიგა გიორგაძე აცხადებს, კარცერების ტექნიკური მონიტორინგის მიზანია პატიმართა უფლებების და ღირსების დაცვა. ამ მიზნით, დაახლოებით 15-მდე საპატიმრო შემოწმდა. მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის განმარტებით, ყველაზე მძიმე სიტუაცია სასჯელაღსრულების N1 და N5 საპყრობილეებშია. აქ კარცერები მოთავსებულია მიწისქვეშ, სადაც სიბნელე და ანტისანიტარიაა. პატიმრებს მღრღნელებთან ერთად უხდებათ ყოფნა. გიორგაძის თქმითვე, უახლოეს დღეებში აპარატი იუსტიციის სამინისტროს ამ კარცერების გაუქმების მოთხოვნით მიმართავს. დანარჩენ ციხეებში კარცერები შეკეთებულია და შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

პატიმრებს კარცერებში ყოფნა დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევის გამო, დაახლოებით 10 დღის განმავლობაში უხდებათ.

*ინტერპრესნიუსი*

## ახალი კადრები სასაზღვრო პოლიციაში

სასაზღვრო პოლიციაში მიმდინარე საკადრო რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ვაკანტურ თანამდებობებზე შერჩევის ძირითადი ეტაპი დასრულდა. როგორც სასაზღვრო პოლიციაში აცხადებენ, უახლოეს დღეებში, შერჩეული კანდიდატები კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმდებიან სასაზღვრო პოლიციაში.

სასაზღვრო პოლიციაში მიმდინარე საკადრო რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში განცხადებების რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა.

ახალი კანდიდატების შერჩევის პროცესში სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე პირადად იყო ჩართული.

სასაზღვრო პოლიციის უფროსი და დეპარტამენტების დირექტორები ბათუმის, ახალციხის, ლაგოდეხის, ბოლნისის, დედოფლისწყაროს, ბარისახოს, ყაზბეგის რეგიონულ სამმართველოებში პირველადი ტესტირების შემდეგ შერჩეულ კანდიდატებს ადგილებზე პირადად შეხვდნენ და გაესაუბრნენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## უარი გირაოზე

კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, საბაგირო გზასთან მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილს თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სამართალდამცაველებმა 20 წლის ზურაბ დემეტრაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი, 23 წლის გაგა არზიანი დააკავეს. არზიანთან ერთად დაკავებულია დანაშაულის დაფარვასა და მუქარაში ეჭვმიტანილი გიორგი ალიმონაკი.

დემეტრაშვილი რამდენიმე დღის წინ, კუს ტბის მიდმებარე ტერიტორიაზე, საბაგირო გზის სადგურში მოკლული იპოვეს. მას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი 4 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, მათ შორის ერთი - საკონტროლო.

გამოძიების ინფორმაციით, დადგენილია, რომ არზიანს მოკლული ზურაბ დემეტრაშვილის ბიძაშვილი ჰყავდა ცოლად, რომელთანაც იგი ამჟამად გაცილებულია. პოლიცია ვარაუდობს, რომ არზიანმა დემეტრაშვილი ანგარიშსწორების მიზნით მოკლა. გაგა არზიანს ბრალი 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით აქვს წარდგენილი, რაც 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. არზიანმა დანაშაული არ აღიარა და მისთვის კანონით მინიჭებული დუმილის უფლება გამოიყენა.

დაკავებულების ადვოკატებმა მოსამართლეს არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით მიმართეს და სასამართლოს გირაო შესთავაზეს, რაზეც მოსამართლემ უარი განაცხადა.

გიორგი ალიმონაკის ადვოკატმა დავით დადიანმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის გათავისუფლების სანაცვლოდ, გირაოს სახით 7 ათასი ლარი დაასახელა, ხოლო არზიანის ადვოკატმა გიორგი ბახტურიძემ - 100 ათასი ლარი.

*ინტერპრესნიუსი*

## 15-დღიანი პატიმრობა გზის გადაკეტვისთვის

შს სამინისტროს ზუგდიდის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სოფელ რუხში, ავტომაგისტრალის გადაკეტვის მცდელობის ბრალდებით, ემზარ პერტაია და ლევან ჯიქია დააკავეს.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, დაკავებულებს 10-დან 15 დღემდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ, დაახლოებით 3 საათის განმავლობაში, სოფელ რუხში საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. რუხის მაცხოვრებლები ელექტროენერგიის მიწოდებას ითხოვდნენ. მათი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ელექტოენერგიის საფასური გადახდილი აქვთ, სოფელს დენი მაინც არ მიეწოდება.

აქციის მონაწილეები სოფლის გამგებელს უყენებდნენ ბრალდებებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ნორა კვიციანი ბრალდებებს უარყოფს

კოდორის ხეობის სოფელ ჩხალთის ყოფილი გამგებლის ნორა კვიციანის ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში საჩივარი შეიტანა.

როგორც ადოვოკატი პაატა ბუჩუკური აცხადებს, ის თბილისის საქალაქო სასამართლოს 19 აგვისტოს ბრძანებას ასაჩივრებს, რომლითაც კვიციანს სახელმწიფო ქონების მითვისების ბრალდებით სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

საქმე ეხება სოფელ ჩხალთაში შეტანილი ჰუმანიტარული ტვირთის არამიზნობრივად განკარგვას. ამჯერად, კვიციანს ბრალი ფინანსურმა პოლიციამ წაუყენა. ბრალდებას ჩხალთის მცხოვრებლების გარკვეული ნაწილი არ ეთანხმება და აცხადებს, რომ მათ გააჩნიათ იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ ნორა კვიციანმა ჰუმანიტარული ტვირთი სოფლის მოსახლეობას ნამდვილად გადასცა.

კვიციანს სხვადასხვა ბრალდების გამო, სასამართლომ წინასწარი პატიმრობა ერთხელ უკვე შეუფარდა, თუმცა ახლა მისი პატიმრობის ვადის ათვლა იმ დღიდან დაიწყება, როცა კვიციანს ახალი ბრალის გამო კიდევ ერთხელ შეუფარდეს აღმკვეთი ღონისძიება.

პირველად ნორა კვიციანს პატიმრობა 30 ივლისს შეეფარდა. მას ბრალი ედება ცეცხლსასაროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში და უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაში.

ნორა კვიციანი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ჩხრეკის დროს მისი სახლიდან ამოღებული იარაღი მის მეუღლეს ეკუთვნოდა, რომელიც 1998 წელს გარდაიცვალა.

*ინტერპრესნიუსი*

## ბანკიდან 80 ათასი ლარი გაიტაცეს

საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალიდან 80 ათასი ლარი მოიპარეს.

წინასწარი მონაცემებით, პენსიების დასარიგებლად განსაზღვრული თანხა ბანკიდან გვიან ღამით გაიტანეს.

როგორც ბანკის დარაჯი ლევან მჭედლიშვილი აცხადებს, გამტაცებლებმა თავი პოლიციელებად გაასაღეს, ამიტომ კარები თავად გაუღო. მჭედლიშვილის თქმითვე, თავდამსხმელები ექვსნი იყვნენ, ნიღბები ეკეთათ და ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეირაღებულნი.

მძარცველებმა დარაჯი სასტიკად სცემეს და ბანკში არსებული თანხა სრულად გაიტანეს.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მიმდინარეობს გამოძიება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## დაკავება სარფში

რეგიონული სამმართველო "ბათუმის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში", სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს ორი მოქალაქე დააკავეს.

როგორც სასაზღვრო პოლიციაში აცხადებენ, დაკავებულთაგან ერთი რუსეთის ფედერაციის, ერთი კი საქართველოს მოქალაქეა, რომლებიც თურქეთიდან საქართველოში შემოსვლას გაყალბებული პასპორტებით ცდილობდნენ. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# დაზარალებულთა შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიან

პირველი გვერდიდან

დედაქალაქის სამაშველო სამსახურის ცნობით, დაღუპულთა და დაშავებულთა შორის არიან სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, მათ შორის ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიელები.

რუსეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლის გივი შუღაროვის განცხადებით, საელჩო ცდილობს დააზუსტოს, ხომ არ არიან საქართველოს მოქალაქეები იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მოსკოვის საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

მისი თქმით, დაშავებულები მოსკოვის N36, 57, 33 სავადმყოფოებში, ბავშვთა მე-2 პოლიკლინიკასა და კლიფასოვსკის კლინიკაში არიწ მოთავსებულნი. საელჩოს წარმომადგენლებმა კლინიკები შემოიარეს და მოგვიანებით დაზუსტებული ინფორმაცია გაავრცელეს იმის შესახებ, რომ მოსკოვში მომხდარი აფეთქებების შედეგად დაზარალებულთა შორის საქართველოს





აფეთქება "ჩერკიზოვსკის" ბაზარში.

მოქალაქეები არ არიან.

გივი შუღაროვის განცხადებით, მოსკოვში ქართველმა დიპლომატებმა გადაამოწმეს ყველა საავადმყოფო, სადაც დაშავებულები არიან მოთავსებული და არც ერთ მათგანში საქართველოს მოქალაქეები არ აღმოჩნდნენ.

"ჩერკიზოვსკის" ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბაზარია, მისი მფლობელია ფირმა "АСТ", რომლის მეპატრონეები ძმები იზმაილოვები არიან. "ჩერკიზოვსკის" ბაზარში ბოლო წლებში სამი მსგავსი ინციდენტი მოხდა და სამივე საქმე გაუხსნელია.

მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით საქმე მოსკოვის პროკურატურაში აღიძრა.

*24 საათი*

# კონტროლი პოლიციის საქმიანობაზე

*მიუხედავად შსს-ს მაღალჩინოსანთა მტკიცებისა, რომ ქართული პოლიცია მუშაობის დასავლურ სტილზე გადავიდა, პოლიციელთა მიერ ჩადენილი კანონდარღვევები კვლავ სახეზეა, მართალია, არა წლების წინანდელი ხარისხითა და რაოდენობით, მაგრამ მოქალაქეები პოლიციელთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების - უკანონო დაკავების, ნარკოტიკებისა და იარაღის "ჩადების", ცემა-წამების შესახებ კვლავ ჩივიან.*

არადა, შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ მისმა თანამშრომლებმა უწყების შიგნით კანონდამრღვევ თანამშრომელთა უპრეცედენტო რაოდენობა გამოავლინეს - დაისაჯა შსს-ს 364 თანამშრომელი. შს მინისტრი თავს იწონებს იმითაც, რომ გასული წელი ერთადერთი წელია, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროში წამების არც ერთი ფაქტი არ აღრიცხულა. მინისტრის ინფორმაციითვე, 6 ათას 682 დაკავებულიდან წამების ფაქტზე პრეტენზია მხოლოდ ერთმა გამოთქვა, 18-ს კი აღენიშნებოდა მსუბუქი დაზიანება. გარდა წამებისა, როგორც მინისტრი ირწმუნება, მოისპო იარაღისა და ნარკოტიკის "ჩადების" ტრადიციაც და საერთაშორისო ორგანიზაციები ამ ფაქტსაც აღნიშნავენ.

**"ბოლო პერიოდში მკვეთრად შემცირდა პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთა ცემისა და წამების ფაქტები. თუმცა, კვლავ პრობლემას წარმოადგენს დაკავების დროს პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენება. ხშირად პოლიცია გადამეტებით იყენებს ძალას, მაშინაც კი, როცა ამის საჭიროება არ არის,"** - ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ქვეყანაში არსებული შეფასებისას ასეთი დასკვნა გააკეთა საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა, რომლის ოფისის პრიორიტეტიც პოლიციის საქმიანობაზე კონტროლია.

ცოტა ხნის წინათ საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე მზია ბლიაძემ და მისი შვილის გიორგი ლაცაბიძის საქმის შესწავლა სთხოვა. მზია ბლიაძის განცხადებაში ნათქვამია, რომ 2006 წლის 24 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურის რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს მისი შვილი გიორგი ლაცაბიძე, მიიყვანეს იგი პოლიციის განყოფილებაში, სცემეს და ჩაუდეს ნარკოტიკული ნივთიერება.

დაკავებულის დედამ მიყენებულ დაზიანებებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 26 ივლისის დასკვნაც წარუდგინა, რომლის თანახმად: "გიორგი ლაცაბიძეს აღენიშნება სხეულის მსუბუქი დაზიანებები, რომელიც განუვითარდა მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით და შესაძლებელია მიღებული იყოს დაკავების დროსა და გარემოებაში. უჩივის თავის ტკივილს, გულის რევის შეგრძნებას. აუცილებელია ნევროპათოლოგის გასინჯვა."

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან საუბარისას მზია ბლიაძემ განაცხადა, რომ შვილმა უამბო, თუ როგორ "ჩაუდო" მას ნარკოტიკი სურამის პოლიციის თანამშრომელმა სიმონ ტეფნაძემ, ხოლო ხაშურის პოლიციის უფროსმა გიორგი კოლუაშვილმა და პოლიციის თანამშრომელმა ნიკა გოგიაშვილმა გრძნობის დაკარგვამდე სცემეს.

**"განმცხადებელი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მის შვილს ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისში სახლში მიაკითხეს სურამის პოლიციის თანამშრომლებმა დავით გოგალაძემ და სიმონ ტეფნაძემ და აიძულებდნენ, დაეტოვებინა დაბა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ყველა გაუხსნელი დანაშაულის დაბრალებით ემუქრებოდნენ. მზია ბლიაძე მისი ვაჟის დაკავების მიზეზად პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან პიროვნულ უთანხმოებას მიიჩნევს,"** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განცხადება და ექსპერტიზის დასკვნა საკმარისია წინასწარი გამოძიების დასაწყებად და მასალები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს გადაეგზავნა.

სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შედეგად, თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი აკაკი ბერძული დისციპლინური წესით დაისაჯა.

საქმე ისაა, რომ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ჩატარებული მონიტორინგის დროს გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოში სამართალდარღვევის ფაქტი გამოავლინეს. დაკავებულ პირთა რეგისტრაციის წიგნის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ სამმართველოს თანამშრომლებმა 2 ივნისს, 01.40 საათზე დააკავეს მოქალაქე ქებაძე, რომელიც დილას, 06.30 საათზე ხელწერილით გაათავისუფლეს.

სახალხო დამცველის თქმით, აღნიშნული ქმედებით პოლიციის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული დაკავების ვადა დაარღვიეს, რადგან ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაკავებამ არ უნდა გასტანოს 3 საათზე მეტ ხანს.

18 ივლისს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგისა და გამოძიების დეპარტამენტის უფროსმა გიგა გიორგაძემ შესწავლილი მასალები და შესაბამისი ოქმი, საქმეზე რეაგირებისა და კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების თხოვნით, თბილისის პროკურორს გიორგი ღვინიაშვილს, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს თამარ თომაშვილსა და შსს-ს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს გიორგი კიკნაძეს გადაუგზავნა.

გლდანი-ნაძალადევის პროკურორის კონსტანტინე ჯაოშვილის ცნობით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, რაიონულმა პროკურატურამ შს მთავარი სამმართველოს უფროსს მერაბ ბაღათურიას გაუგზავნა წარდგინება, გლდან-ნაძალადევის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლის აკაკი ბერძულის დისციპლინური წესით დასჯის შესახებ.

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე
10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქ.თბილისის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია
მხოლოდ **8-10** -ით

www.telecom.ge

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# საერთაშორისო საზოგადოება სტაბილურობის შენარჩუნების მცდელობაში

პირველი გვერდიდან

ოფიციალურ ბეირუთს სტაბილურობის შეანარჩუნება და მშვიდობა სურს. ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ელიას მურსმა განაცხადა, რომ "ჰეზბოლას" დაჯგუფება სტაბილურ სიტუაციას შეინარჩუნებს და ისრაელს ცეცხლს აღარ გაუხსნის, თუმცა ამავდროულად მინისტრმა მოუწოდა ყველა სამხედრო დაჯგუფებას, რომ არ დაიწყონ ისრაელის პროვოცირება ისეთი ქმედებებით, როგორიც არის რაკეტების აფეთქება ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე. ლიბანის თავდაცვის მინისტრის განცხადება მიმართული იყო სირიიის მიერ გამომცხვარი სამხედრო დაჯგუფებებისადმი, რომლებისგანაც მოსალოდნელია ისრაელთან საბრძოლო მოქმედებების პროვოცირება და მათი განახლება.

ლიბანის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ის, ვინც ისრაელის მიმართ საბრძოლო მოქმედებებს განაახლებს და სამშვიდობო მოლაპარაკებებს ხელს შეუშლის, "მოღალატედ" ჩაითვლება.

ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ფუად სინიორამ ომის დროს ისრაელის ქმედებებს სამხრეთ ლიბანში "კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული" უწოდა. "**ეს არის კრიმინალური აქტი, რომელიც კარგად გამოხატავს ისრაელის სიძულვილს ლიბანისადმი. ებრაელები ლიბანის ერთიანობის დანგრევას ისახავენ მიზნად**".

საყურადღებოა, რომ ლიბანის პარლამენტის სპიკერი ნაბიჰ ბერი, ჰეზბოლას ერთ-ერთი დამფუძნებელი შიიტი მუსლიმანი, მხარს უჭერს სუნიტი პრემიერ-მინისტრის პოზიციას და აღნიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ ერთგვაროვანი პოზიცია გააჩნიათ.

რაც შეეხება ოფიციალური იერუსალიმის პოზიციას კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი მიიჩნევს, რომ მრავალეროვნულ სამშვიდობო ჯარების შემადგენლობაში არ უნდა შევიდეს იმ ქვეყნების სამხედრო ძალა, რომელთაც ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გააჩნიათ. ისრაელის მხარის განცხადებით, დამასკომ სასწრაფოდ უნდა შეწყვიტოს სამხედრო დაჯგუფებების მხარდაჭერა. ისრაელი ბრალს სდებს სირიასა და ირანს "ჰეზბოლას" დაჯგუფებისათვის დახმარების გაწევაში. აღნიშნულმა დაჯგუფებამ მხარეებს შორის 34 დღიანი ომის განმავლობაში, ისრაელის ტერიტორიაზე 4000-მდე რაკეტა ააფეთქა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისრაელი დაბეჯითებით ცდილობდა სირიისათვის შეეშალა ხელი, რომ არ ჩართულიყო კონფლიქტში. ებრაელებს მეორე დიდი ფრონტის გახსნა არ სურდათ.

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ დამასკოსა და თეირანის ურთიერთობები უფრო მჭიდრო ხდება. მან ამავდროულად აღნიშნა, რომ მომავალში არაბები წარმატებას მიაღწევენ ისეთი საკითხების ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტაში, რომელთა მოგვარებაც მშვიდობიანი მოლაპარაკებებით ვერ მოხერხდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გოლანის მაღლობები, რომელიც ისრაელმა შუა აღმოსავლეთის 1967 წლის ომის დროს ჩაიგდო ხელში.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ოლმერტის განცხადებით, ამ ეტაპზე სირია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პარტნიორი კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის დამყარების საკითხში: "**მხოლოდ მას შემდეგ, რაც სირია დაასრულებს ტერორიზმის მხარდაჭერას, ტერორისტული ორგანიზაციების უზრუნველყოფას საბრძოლო ტექნიკით, ჩვენ ვიქნებით მოხარულნი და შევძლებთ მათთან მოლაპარაკებების წარმოებას... ჩვენ არ ვაპირებთ მოლაპარაკებების დაწყებას მანამდე, სანამ სირიის მხარე არ გადადგამს გარკვეულ ნაბიჯებს, რაც აღნიშნული მოლაპარაკებების დაწყების საფუძველი გახდება** ".

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ოლმერტის მიმართ დიდი კრიტიკაა საკუთრივ ისრაელში. ებრაელები მიიჩნევენ, რომ ოლმერტმა პირობა არ შეასრულა, "ჰეზბოლას" ტერორისტული დაჯგუფება დღემდე არ არის განიარაღებული.

აშშ-ს სამი ძლიერი მოკავშირე არაბულ სამყაროში - ეგვიპტე, იორდანია და საუდის არაბეთი, მხარს უჭერენ მოლაპარაკებების აქტიურ წარმოებას, ვინაიდან, მათი აზრით, ლიბანის ომმა ირანის წისქვილზე დაასხა წყალი და შესაბამისად მოსალოდნელია შემდგომში ირანის პოზიციების უფრო გამყარება. არაბული ლიგის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არაბული ქვეყნები ადგენენ სამშვიდობიო გეგმას, რომელიც შემდგომში გაეროს უშიშროების საბჭოს უნდა წარუდგინონ. არაბეთის ლიგის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები კვირას კაიროში შეხვდნენ ერთმანეთს ლიბანის კონფქლიტის საკითხების განსახილველად. შეხვედრას სირიის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ ასადმა განაცხადა, რომ არაბული ქვეყნების წამომადგენლები ლიბან-ისრაელის კონფლიქტს მეტად არაადეკვატურად აფასებენ და განიხილავენ.

კვირას 150 ფრანგი ჯარისკაცი გაემგზავრა ტულონის პორტიდან. ისინი იმ 50 ჯარისკაცს შეუერთდებიან, რომლებიც ლიბანში რამდენიმე დღით ადრე ჩავიდნენ. ახალი კონტინგენტი ისრაელის საზღვრის ახლოს განლაგდება.

შეგახსენებთ, რომ გაერო-ს სამხედრო ძალისა და ლიბანის სახელმწიფო შეიარაღებული ძალების განლაგება ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, სადაც "ჰეზბოლას" დაჯგუფებაა გამაგრებული, რეგიონში მშვიდობის დამყარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. გაერო მიიჩნევს, რომ აგვისტოს ბოლომდე სამხრეთ ლიბანში 3 500-მდე სამხედრო უნდა განლაგდეს, ხოლო მოგვიანებით მათი რიცხვი 15 000 მდე გაიზრდება. გაერო-ს წარმომადგენლები იმედგაცრუებულნი არიან საფრანგეთის მიერ გამოყვანილი სამხედრო კონტინგენტის რაოდენობით და ევროპის ქვეყნებს მოუწოდებენ ლიბანში უფრო მეტი ჯარისკაცის გაგზავნისაკენ. კვირას საფრანგეთმა ევროპის ქვეყნებს შეხვედრისაკენ მოუწოდა, სადაც მოხდება იმის განსაზღვრა, თუ რა რაოდენობის ჯარით აპირებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები გაერო-ს დახმარებას.

ჯერ არ არის გარკვეული, დაუჭერს თუ არა მხარს გრძელვადიანი მშვიდობის მცდელობას აშშ. ისრაელის ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებებისას შესაძლებელია სირიის ჩართვა არაბულ ბანაკში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამასკოს გოლანს დაუბრუნებენ. გასულ კვირას ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ამირ პერესმა პირველმა გამოთქვა სირიასთან მოლაპარაკებების წარმოების სურვილი. "**თუ სირიელებს აქვთ სერიოზული სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოების სურვილი, მაშინ ისინი უნდა მოვიდნენ და განაცხადონ, რომ მათ ეს საკითხი აინტერესებთ, თუმცა ამგვარი სურვილი ოფიციალური დამასკოს მხრიდან ჯერჯერობით არ არსებობს,**" - განაცხადა ამირ პერესმა.

ამრიგად, ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მხარეთა პოზიციაზე და მათ შორის წარმოებულ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე.

# ჯანდაცვის სამინისტრო სტანდარტებს ამკაცრებს

"უწყვეტი ელექტროენერგიის ბლოკი, ვენტილაცია, ჟანგბადის საჭირო რაოდენობა და ცხელი წყლის სისტემა," - ეს ის ჩამონათვალია, რომლის შესახებაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გუშინ ისაუბრეს. ჯანდაცვის სამინისტრო ქვეყანაში მოქმედი დიდი კლინიკებისთვის სტანდარტებს ამკაცრებს.

"როდესაც ჯანდაცვის სისტემა წლის განმავლობაში 130 მილიონი ლარით ფინანსდება, ხოლო მომავალ წელს ამ თანხის გაზრდა 200 მილიონამდე იგეგმება, ბუნებრივია მოვითხოვთ, რომ ფული მიზნობრივად დაიხარჯოს, გაუმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა," - აღნიშნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა წამყვანი კლინიკების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას. მინისტრმა კლინიკების ხელმძღვანელებს თავში ჩამოთვლილი პირობების შესრულება მოსთხოვა და აღნიშნა, რომ "ახალი სტანდარტების შესრულება უახლოეს მომავალში ყველა კლინიკისთვის სავალდებულო გახდება".

მინისტრი აცხადებს, რომ არსებითად მნიშვნელოვანია, საავადმყოფოებში მოწყობილი იყოს სახანძრო გასასვლელები, ასევე კლინიკებს ჰქონდეს აუცილებელი პირველადი სახანძრო აღჭურვილობა. ამ მოთხოვნების შესრულება პირველ რიგში უდიდეს კლინიკებს მოუწევთ, ხოლო მომავალში - საქართველოში მოქმედ ყველა სამედიცინო დაწესებულებას.

გუშინდელ შეხვედრაზე გაირკვა, რომ კლინიკებისთვის სამედიცინო სტანდარტებით განსაზღვრული პირობები წელიწადში 2-3-ჯერ გამკაცრდება და პერმანენტულად შემოწმდება, თუ როგორ ასრულებენ ისინი დაკისრებულ სტანდარტებს. გარდა ამისა, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ყველა კლინიკისთვის აუცილებელი პირობა იქნება სისუფთავე.

*24 საათი*




# ვინ არის მიხეილ სააკაშვილი - გმირი თუ პრეზიდენტი?

ია ანთაძე

რა მსგავსება და განსხვავებაა ჯადოსნური ზღაპრის გმირსა და ოცდამეერთე საუკუნის სახელმწიფოს პრეზიდენტს შორის? უშლის თუ არა პრეზიდენტს ხელს გმირის სტატუსი? სად არის გმირებისა და პრეზიდენტების სამშობლო? შესაძლოა, ეს შეკითხვები მხოლოდ ცხელი ზაფხულის ნაყოფად მოგვეჩვენოს, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის.

იმის შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძის მთავრობის წევრმა - მიხეილ სააკაშვილმა - ნებაყოფლობით თქვა უარი იუსტიციის მინისტრის პოსტზე, იგი ბუნებრივად აღმოჩნდა გატყორცნილი პოლიტიკური ცენტრიდან. ამის შემდეგ სააკაშვილს მოუხდა კარიერის თავიდან აგება და ურთულესი გზის გავლა პოლიტიკის პერიფერიიდან ცენტრისკენ. და იუსტიციის ყოფილი მინისტრი, საქართველოს თითქმის ყველა სოფლის გავლით, შინ პრეზიდენტად დაბრუნდა. ეს ზუსტად ის გზაა, რომელსაც ჯადოსნური ზღაპრის გმირი გაივლის: იგი მიდის ცენტრიდან პერიფერიისკენ ჩვეულებრივი ადამიანის სტატუსით, მრავალი ფათერაკის გადალახვის შემდეგ კი პერიფერიიდან ცენტრში ბრუნდება, როგორც მეფე.

მაგრამ, მსგავსების მიუხედავად, ჯადოსნური ზღაპრის გმირსა და ოცდამეერთე საუკუნის სახელმწიფოს პრეზიდენტს შორის არსებითი განსხვავებაც არის.

გმირს ინდივიდუალური სახე არ გააჩნია, ის ღვთის ნების შემსრულებელი იარაღია. მისთვის მეფობა სამარადჟამო სტატუსია. ამიტომ, გამეფებისა და ქორწილის შემდეგ დგება მარადიული კეთილდღეობის ხანა, სამოთხე, სადაც თხა და მგელი ერთად ძოვს. ამით ზღაპარიც სრულდება. პრეზიდენტისთვის კი სახელმწიფოს ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულებით არათუ მთავრდება, არამედ, პირიქით, იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი, სადაც გარანტირებული არაფერია. შესაბამისად, პრეზიდენტის სტატუსი დროებითია და, სულ ბევრი, ორი საარჩევნო ვადით შემოიფარგლება.

ყველაზე დიდი გაუგებრობა, რაც შეიძლება თანამედროვე პრეზიდენტს დაატყდეს თავს, გმირისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის სტატუსის აღრევაა. თუ გმირი შეცდომებისგან დაზღვეულია, პრეზიდენტისთვის, პირიქით, საფრთხე სწორედ ინაუგურაციის დღიდან იწყება: ამ დღესვე დგება ცდუნება, იცხოვრო ჯადოსნური ზღაპრის გმირივით, რომელმაც თავისი ფუნქცია ამოწურა, როგორც კი მეფობას მიაღწია. სწორედ ცდუნების ამ გზაზე იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას წმინდანების ხსენების დღეებთან პოლიტიკური თუ პირადი წარმატებების დამთხვევა.

ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის მთავარი ამოცანა, როგორც ჩანს, სწორედ ისაა, ოპოზიციას და მის მიმართ დაეჭვებულ რიგით მოქალაქეებს დაუმტკიცოს, რომ გმირის კომპლექსით არ არის შეპყრობილი. ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს - ლევან ბერძენიშვილს - არაერთხელ საჯაროდ უთქვამს, რომ მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფოს მართვა სხვა ადამიანებს გადააბარა, თვითონ კი საქმეს განერიდა. ეს თვალსაზრისი სწორედ იმას გულისხმობს, რომ მიხეილ სააკაშვილი გმირის როლიდან ვერ გამოვიდა და, ნებსით თუ უნებლიეთ, გადასახლდა იმ ჯადოსნურ სამყაროში, სადაც უკვე მარადიული სამოთხეა. ლევან ბერძენიშვილი პრეზიდენტისგან მხოლოდ მისი საპრეზიდენტო მოვალეობების შესრულებას ითხოვს: ყოველდღიურ გარჯას და საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ცხოვრებას აქ, ამ ქვეყანაში.

პრობლემა ოპოზიციურ ახირებაში არ არის. ის ფაქტი, რომ ჟურნალისტები ბევრს საუბრობენ საპრეზიდენტო გუნდში არსებულ დაპირისპირებაზე, აგრეთვე პრეზიდენტის არყოფნის შეგრძნებით არის გაჯერებული. თუ მიხეილ სააკაშვილი ისევ ის ადამიანია, რომელმაც პოლიტიკის ასპარეზზე უკან ჩამოიტოვა ორი დიდი ლიდერი - ედუარდ შევარდნაძე და ზურაბ ჟვანია, ცხადია, ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს, შეუქმნის თუ ვერა მას საფრთხეს ვანო მერაბიშვილი ან ირაკლი ოქრუაშვილი. მაგრამ როდესაც ასეთ საფრთხეზე საუბარი არ წყდება, ცხადია, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ფიგურა არსებულ კონტექსტში გაფერმკრთალებულია. შემთხვევითი არ არის, აგრეთვე, ხშირი საუბრები პრეზიდენტის მოგზაურობებსა თუ თავგადასავლებზე, მის ნებიერ ცხოვრებაზე და, ამასობაში, მუყაითი ოქრუაშვილის მზარდ რეიტინგზე.

როგორც არ უნდა ხედავდეს და აფასებდეს პრეზიდენტი თავის მოღვაწეობას სახელმწიფოს ხელმძღვანელის რანგში, არსებობს ამ მოღვაწეობის აღქმის პრობლემა საზოგადოების მხრიდან. მის "გმირულ წარსულს" ვერავინ უარყოფს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც მკაფიოდ ვერ ხედავენ მის "საპრეზიდენტო აწმყოსა და მომავალს". რაგინდ უცნაურად ჟღერდეს, ახლა მიხეილ სააკაშვილის მიმართ დროის მთავარი გამოწვევა ისაა, რომ მან დაამტკიცოს საკუთარი რაობა: პრეზიდენტია თუ გმირი; მუშაობს თუ ისვენებს; ამ ქვეყანაში ცხოვრობს თუ სადმე სხვაგან, უკეთეს საქართველოში.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით.*

## მოკლედ

### კოდორის ხეობაში მონიტორინგი უახლოეს დღეებში დაიწყება

გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისია კოდორის ხეობაში მონიტორინგის პროცესს უახლოეს დღეებში დაიწყებს. გაეროს მისიის ინფორმაციით, მონიტორინგის დაწყებას ხელს მხოლოდ უამინდობა უშლის და მონიტორინგი რამდენიმე დღის შემდეგ განხორციელდება. საქართველოს ხელისუფლების კატეგორიული მოთხოვნით, მონიტორინგის პროცესში არ მონაწილეობენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები. **მედიანიუსი**

### გაეროს ლტოლვილთა კომისარი საქართველოს ნაბიჯებს დადებითად აფასებს

გაეროს ლტოლვილთა საკითხების უმაღლესი კომისარი ანტონიო გუტიერეში დადებითად აფასებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებების ნაბიჯებს ლტოლვილთა მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

როგორც გუტიერეშმა გუშინ ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სამხრეთ კავკასიაში მყოფი ლტოლვილები ცუდ პირობებში ცხოვრობენ, მაგრამ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელისუფლებები ყველაფერს აკეთებენ მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გაეროს უმაღლესი კომისრის თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მყოფი ლტოლვილთა სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელებას გააგრძელებენ. **მედიანიუსი**

### დღეს საქართველოს აშშ-ს კონგრესის დელეგაცია ეწვევა

საქართველოს დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაცია ეწვევა. დელეგაციას "რესპუბლიკელი" სენატორი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე რიჩარდ ლუგარი უხელმძღვანელებს.

დღეს დილით დელეგაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მიიღებს. აშშ-ს კონგრესის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში 24 აგვისტოს დასრულდება. **იტერპრესნიუსი**

### ამომრჩეველთა ერთიან სიას კარდაკარ შემოვლის პრინციპით გადაამოწმებენ

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სპეციალური ჯგუფის წევრების შერჩევის პროცესი დაასრულა.

სპეციალური ჯგუფების შექმნა მიზნად ისახავს 2006 წელს დაგეგმილი ადგილობრივი თვითმართველობის - წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიან სიაში დაფიქსირებული მონაცემების, ამომრჩეველთა გადამოწმება-შესწორებას და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოში არარეგისტრირებულ გარდაცვლილთა სიიდან ამოღებას.

სპეციალური ჯგუფის წევრები 23 აგვისტოდან ოცი დღის განმავლობაში კარდაკარ შემოვლის პრინციპით დაივლიან საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ოჯახს და ყოველი ამომრჩევლის პირადობის მოწმობაში დაფიქსირებულ მონაცემებს შეადარებენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებულ მონაცემებს.

ქვეყნის მასშტაბით სულ 2 784 სპეციალური ჯგუფი დაკომპლექტდა. თითოეული ჯგუფის შემადგენლობაში ცხრა წევრია, რომლებიც წარმოდგენილია შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კონკურსის საფუძველზე არჩეული სამი წევრისა და სამი პოლიტიკური პარტიის (ნაციონალური მოძრაობა, საარჩევნო ბლოკი "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები-ახლები" და ლეიბორისტული პარტია) მიერ დანიშნული ორ-ორი წევრისაგან.

სპეციალური ჯგუფის წევრებს 22 აგვისტოდან ორი დღის განმავლობაში (22 და 23 აგვისტო), საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერები, რომლებიც საარჩევნო კომისიის მიერ სასწავლო კურსის მეშვეობით შეარჩიეს, ჩაუტარებენ ტრენინგებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ერთიანი საარჩევნო სიის გადამოწმება. **მედიანიუსი**

## მოკლედ

### "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო" საჯარო საკონსულტაციო შეხვედრებს აგრძელებს

"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" და მისი კონტრაქტორი კომპანია "სი-ენ-ეფ-ეი" აგრძელებს საკონსულტაციო შეხვედრებს და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას, მონაწილეობა მიიღონ აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში დაგეგმილ საკონსულტაციო შეხვედრებში.

კონსულტაციის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისა და საზოგადოების ინფორმირება პროექტის თითოეული მიმართულების შესახებ, ასევე მიმდინარე და სამომავლო გეგმების გაცნობა. პროექტის პრეზენტაციის დასასრულს ყველა დაინტერესებულ პირს მიეცემა საშუალება მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია აგრობიზნესის განვითარების პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ადგილობრივ მეწარმეებთან შეხვედრებში მონაწილეობენ "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი ლაშა შანიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი, აგრობიზნესის განვითარების პროექტის მენეჯერი როდ ბისონი, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ამერიკელი სენატორი ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის რეალიზაციის საკითხებს განიხილავს

ამერიკელი სენატორი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე რიჩარდ ლუგარი აზერბაიჯანში დაწყებული მოლაპარაკებების მთავარ თემად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის რეალიზაციის დაწყებას მიიჩნევს. ამის შესახებ ლუგარმა ჟურნალისტებს ბაქოში ჩასვლისთანავე განუცხადა.

სენატორი აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებს ენერგეტიკის, უშიშროებისა და პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხებში გამართავს.

მოლაპარაკებების ფარგლებში ლუგარი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის რეგულირების პრობლემებსაც შეეხება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რუსეთის ათეულობით რეგიონში მწვავე ენერგოდეფიციტია

რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის დროს "რუსეთის რაო ეეს"-ის ხელმძღვანელმა ანატოლი ჩუბაისმა განაცხადა, რომ ენერგოდეფიციტი მწვავე პრობლემად უკვე რუსეთის არა ერთსა და ორ, არამედ ათეულობით რეგიონში დგას. მისი თქმით, ეს მოსალოდნელი ავარიების საფრთხეს ქმნის. ამას გარდა, მისივე განმარტებით, იგი ამ პრობლემასთან დაკავშირებით ყუბანის ენერგეტიკოსებს ესაუბრა, რომლებმაც აუწყეს, რომ მძიმე სამუშაო რეჟიმის გამო, ისინი ელექტროენერგიის შეზღუდვებს ახორციელებენ, რაც აქამდე არასოდეს არ მომხდარა.

ჩუბაისის განმარტებით, სიტუაციის გამოსწორება მხოლოდ ენერგეტიკული განვითარების ახალ საინვესტიციო 2006 - 2010 წწ. პროგრამას შეუძლია, რომლისთვისაც სავარაუდოდ 2.1. ტრილიონი რუბლი გამოიყოფა.

ადრე მთავრობამ მოიწონა, ელექტროენერგეტიკაში, კერძოდ კი თბოგენერაციაში კერძო ინვესტიციების შემოსვლა. რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი ვ. ხრისტენკო დარწმუნებულია, რომ 2007 წელს დამატებითი ემისიის მოზიდვა თბოენერგეტიკაში 70 მილიარდ მანეთზე მეტს მოიტანს.

ამას გარდა, მთავრობამ მოიწონა ისიც, რომ ელექტროენერგიის მართვის ლიბერალიზაციის რეჟიმის შემუშავება. რუსეთის ენერგეიკის მინისტრის თქმით, 2007 წლის 1 იანვრიდან დაიწყება თანდათანობითი, 5-15 %, ელექტროენერგიით მოვაჭრე სექტორის ლიბერალიზაცია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გაზპრომმა იაპონიაში თხევადი გაზის ექსპორტი დაიწყო

გაზპრომმა იაპონიას 145 ათასი კუბური მეტრი თხევადი გაზის პირველი პარტია მიაწოდა. იაპონიის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ენერგეტიკულმა კომპანიამ Tokyo Electric Power Co ხელშეკრულება გააფორმა Gazprom Marketing & Trading-ტან, რომლის მიხედვითაც იაპონური კოპანია ხელს შეუწყობს რუსული თხევადი გაზით ვაჭრობას.

აზია-წყნარი ოკიანის რეგიონის ბაზარი რუსეთის გაზის მონოპოლისტისათვის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა.

გაზპრომია დაინტერესებულია ამ რეგიონში მნიშვნელოვანი პოზიციები მოიპოვოს, ისევე როგორ გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით - მილსადენებით საშუალებით გაზის მიწოდების, ასევე მიმდინარე ეტაპზე თხევადი გაზის ექსპორტის მეშვეობითაც. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რუსეთმა პარიზის კლუბის ვალი ვადაზე ადრე გადაიხადა

გუშინ რუსეთმა პარიზის კლუბის ვალი, 22,3 მილიარდ დოლარის ოდენობით, ვადაზე ადრე გადიხადა. პარიზის კრედიტორთა კლუბის კონტრაქტის თანახმად, რუსეთი ვალის ვადაზე ადრე დაფარვის გამო ჯარიმის სახით 1 მილიარდ დოლარს გადაიხადა.

აგვისტოს შუა რიცხვებში რუსეთმა პარიზის კლუბს გეგმიური გადასახდელის სახით 700 მილიონი დოლარიც გადაუხადა.

რუსეთის ფინანსთა მინისტრის ალექსეი კუდრინის თქმით, გადახდილი ვალიდან ყველაზე მეტს გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჰოლანდია მიიღებენ.

"Правда.Ру" იუწყება, რომ გადახდილი თანხა რუსეთს შესაძლებლობას აძლევს უახლოესი სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ერთი მილიარდი აშშ დოლარის ეკონომია გააკეთოს.

ამ დროისათვის რუსეთს ძირითადად საბჭოთა კავშირის ვალი რჩება 3-4 მილიარდი დოლარის ოდენობით, რომელიც ძირითადად რესტრუქტურებულია და მისი დაფარვა საექსპორტო მიწოდებებით ხდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა უმჯობესდება

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ბოლო 2 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობამ 79 ათას 800 (1.8%) ადამიანით იმატა და საერთო ჯამში 4.401.300 შეადგინა. საქართველოს მოსახლეობის მატებამ ბოლო 7 წლის განმავლობაში 1999 წლის მონაცემებს პირველად გადააჭარბა.

აღნიშნული დასკვნა ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოვლინდა, რომელიც სტატისტიკის დეპარტამენტმა საქართველოს მოსახლეობის გასული წლის ბუნებრივი და მექანიკური გადაადგილებასთან დაკავშირებული მასალების დამუშავების მიმართულებით ჩაატარა.

დამუშავებული მასალების თანახმად, მოსახლეობის 52,5% (2.310.400) ქალაქში ცხოვრობს, ხოლო 47,5%(2.090.900) - სოფლად.

საქართველოს შსს-ს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებით, 2004-05 წლებში დადებითი მიგრაციული ტენდენციები აღინიშნა, რაც ქვეყნის მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა.

მოსახლეობამ 2004 წელს 779 ადამიანით იმატა, 2005 წელს კი - 3.528 ადამიანით.

მართალია 2005 წელს წინა წელთან შედარებით შობადობამ 6,2%,დაიკლო, მაგრამ სიკვდილიანობის საგრძნობი შემცირების ფონზე, მოსახლეობის რაოდენობამ შვიდი წლის განმავლობაში პირველად გადააჭარბა 1999 წლის მონაცემებს (1.511 ადამიანი).

აღნიშნულ მონაცემებში კონფლიტური რეგიონები გათვალისწინებული არის, თუმცა სტატისტიკოსები ვარაუდობენ, რომ აფხაზეთის მოსახლეობა დღეისათვის 160.000 შეადგენს,ხოლო სამხრეთ ოსეთის - 70.000.

ორივე სეპარატისტულ რეგიონთან ერთად საქართველოს მოსახლეობა სულ 4,6 მილიონს ოდნავ აჭარბებს. საქართველოს მოსახლეობის რეკორდულად მაღალი დონე 1993 წელს დაფიქსირდა და 5,49 მილიონი ადამიანი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი მოსახლეობის ამჟამინდელ რაოდენობას 18% -ით აჭარბებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოს რკინიგზით 11 მილიონი 150 ათასი ტონა ტვირთია გადაზიდული

2006 წლის 6 თვეში საქართველოს რკინიგზით 11 მლნ 150 ათასი ტონა ტვირთია გადაზიდული. შპს "საქართველოს რკინიგზის" ინფორმაციით, ეს მონაცემები 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს 2 მლნ. 841 ათასი ტონით აღემატება. სატვირთო გადაზიდვების მატების ტენდენცია მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოშიც შენარჩუნდა.

ასევე, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მგზავრთა ნაკადი. საქართველოს რკინიგზით 2006 წლის 6 თვის განმავლობაში 1 მლნ. 820 ათასი მგზავრია გადაყვანილი. 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში კი საქართველოს რკინგიზით 1 მლნ 600 ათასმა მგზავრმა ისარგებლა.

მიმდინარე წელს საქართველოს რკინიგზაზე სამგზავრო მიმართულებით არაერთი პროექტი განხორციელდა: ამოქმედდა სამგზავრო მარშრუტები - თბილისი-მოსკოვი და ბათუმი-ერევანი. დაინიშნა ორი ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამატარებლო შემადგენლობა აჭარის მიმართულებით. გაიხსნა მახინჯაურისა და ქობულეთის რკინიგზის ახალი სადგურები. **მედიანიუსი**

### სამრეწველო პროდუქციის ფასების საერთო დონე შემცირდა

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წლის ივლისში, წინა თვესთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 99,6 პროცენტი შეადგინა. ივლისის თვეში, ივნისთან, შედარებით სამრეწველო პროდუქციის ფასების საერთო დონის მცირედი შემცირება სამთომოპოვებით მრეწველობაში ფასების 7,3 პროცენტით შემცირებამ განაპირობა. დამამუშავებელ მრეწველობაზე კი მწარმოებელთა ფასების 0,3-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილებაზე მწარმოებელთა ფასები 1,1 პროცენტით გაიზარდა.

სამთომოპოვებით მრეწველობაში ფასების კლება დაფიქსირდა ნედლი ნავთობის წარმოებაზე 10,2 პროცენტით და სპილენძის კონცენტრატზე 9,1 პროცენტით.

დამამუშავებელ მრეწველობაში კი ფასები შემცირდა ვერცხლზე - 8,8 პროცენტით და სილიკომანგანუმზე - 3,8 პროცენტით, ხოლო ფასების საერთო დონემ მოიმატა ოქროზე - 4,3 პროცენტით, საშუალო ნახშირბადიან ფერომანგანუმზე - 4,2 პროცენტით.

2006 წლის ივლისში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის ფასების ინდექსმა 113,5 პროცენტი შეადგინა. 7 თვის განმავლობაში სამთომოპოვებით მრეწველობაზე ფასები გაიზარდა 58,3 პროცენტით, დამამუშავებელ მრეწველობაზე 8,7 პროცენტით, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილებაზე - 11,5 პროცენტით. **მედიანიუსი**

# რას ერჩიან ბიზნესს?!

პირველი გვერდიდან

გორის რაიონის გამგეობაში იურიდიული განყოფილების უფროსი რევაზ გოგიაშვილი ვარაუდობდა, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ არაობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა. მისი მტკიცებით, ნოდარ მაისურაძე დამნაშავეა, რადგან მას იჯარით 230 ჰა. მიწის ფართობი აქვს აღებული, ამ დროს კი სოფლის სხვა მცხოვრებლებსაც "უნდათ მიწა". გარდა მაისურაძისთვის იჯარით გადაცემული მიწისა, ხვითში არსებობს 100 პროცენტით სახელმწიფო წილით დაარსებული შპს "სალთვისი-2", რომელიც 220 ჰა. მიწის ფართობს ფლობს და შესაძლებელი იყო, იჯარა ხალხისთვის იქიდან მიეცათ, თუმცა დღეისთვის, სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის კანონის შესაბამისად, მიწების იჯარით გაცემაც აკრძალულია.

ადგილობრივი ხელისუფლების "ხუშტურები" ხშირად საქართველოს ეკონომიკის განვითარებას აფერხებს და პასუხის მომთხოვნიც არავინ ჩანს. სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ორჯერ დააყენა მოთხოვნა, რათა ბიზნესმენებისთვის ხელის შეშლის გამო დამდგარიყო შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ ქარელის და გორის რაიონის გამგებლის ნუკრი პაპუნაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი. გორის რაიონის გამგებელი ნუკრი პაპუნაშვილი მიიჩნევს, რომ სუბარმა მისი გვარი ტყუილად ახსენა და ის საქმეში მონაწილეობას არ იღებდა. გამგებელს ალბათ დაავიწყდა, რომ მაისურაძის მოწინააღმდეგე, ყველა პროცესზე გორის რაიონის გამგეობა იყო.

იურიდიული განყოფილების უფროსი რევაზ გოგიაშვილი ამბობს, რომ მალე გამოსცემს ახალ დადგენილებას, თუმცა ვერ ასახელებს, რას ჩაწერს ახალ დადგენილებაში. მას, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ეკრძალება იგივე ბრალდებები მოიყვანოს იჯარის გაუქმების საფუძვლად, რომელიც გორის რაიონის გამგეობის პირველ დადგენილებაში იყო მინიშნებული (რომელ დადგენილებასაც მოჰყვა შემდგომი დავა).

რეზო გოგიაშვილის განცხადებით, "ჯერ სამუშაოებია ჩასატარებელი, ხოლო შემდეგ ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს, რის შესახებაც მხარეებს აცნობებს".

გოგიაშვილი ამბობს, რომ ის ხელმეორედ ჩაატარებს მაისურაძის სახელზე რიცხული საიჯარო ფართობების აზომვას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ერთი და იმავე საკითხზე საჩივრის შეტანა და ხელმეორედ ძიების დაწყება, საქმეში ახლად აღმოჩენილი გარემოებების გარეშე არ შეიძლება, მითუმეტეს, თუ საქმე შეწყვეტილია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და ეს დადგენილება ძალაშია შესული. სწორედ ასეთი ფაქტი უდევს წინ ნოდარ მაისურაძის საქმეს. საიჯარო ფართობების აზომვა ორჯერ უკვე მოხდა, სადაც ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ მაისურაძის სახელზე რიცხულ ფართობებზე მეტობა არ ფიქსირდება. აღნიშნლი დასკვნა მტკიცებულებად ცნო თბილისის საოლქო სასამართლომაც.

გორის რაიონის გამგეობაში იურიდიული განყოფილების უფროსი რეზო გოგიაშვილი "24 საათთან" საუბრისას აცხადებს, რომ არ იცის, მაისურაძემ დათესა თუ არა საიჯარო ფართობებზე ხორბალი და შეიძლება თუ არა მიაყენოს ამან სახელმწიფო ბიუჯეტს რაიმე სახის ზარალი.

"რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ ვთხოვთ "სალთვისი-2"-ს პასუხს გადასახადებისთვის, იმაში გამოიხატება, რომ ის იურიდიული პირია და გააჩნია ქონება, თუ ვალი დაუგროვდება ან გააკოტრებენ ან ლიკვიდაციას გამოაცხადებენ, სახელმწიფოს ვალს საკუთარი ქონებით დაფარავს. იურიდიული პირისგან გადასახადის ამოღება უფრო ადვილია, ვიდრე ფიზიკური პირისგან. მე უკვე მივმართე საგადასახადო დეპარტამენტს, რომ მოხდეს შპსებიდან გადასახადაების დაუყოვნებლივი ამოღება," - აცხადებს რეზო გოგიაშვილი.

გორის რაიონის გამგებელი ნუკრი პაპუნაშვილი ამბობს, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მას ჯერ არ წაუკითხავს და ამ საკითხს იურიდიული განყოფილება მოაგვარებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი კი მიიჩნევს, რომ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

"მე საქმეს კარგად არ ვიცნობ, რადგან ჩვენთვის მოიჯარე მაისურაძეს არ მოუმართავს, მაგრამ თუკი არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, აუცილებელია მისი აღსრულება," - აცხადებს სვიმონიშვილი.

მაისურაძისთვის იჯარის ფართობების ჩამორთმევა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა გადაწყვიტა. ის ქვემო ხვითში თვითონ ჩავიდა იმ მოტივით, თითქოს ხალხი მიწის გარეშე იყო დარჩენილი. მოიჯარე ნოდარ მაისურაძის სახელზე რიცხულ საიჯარო ფართობებზე თვითონ დაარჭო "სოლები", რაშიც სოფლის მეურნეობის სამმართველოს მაშინდელი უფროსი სამსონ ქებაძე "ეხმარებოდა". ქარელის ასეთ მოქმედებას შედეგად მოჰყვა ის, რომ სოფლის მოსახლეობამ მიიჩნია, რომ მიწის მიღების უფლება ჰქონდათ და მოიჯარეს დაუპირისპირდნენ. მათთვის არავის აუხსნია, რომ მიწების საკუთრებაში გადაცემა 1999 წელს დასრულდა და სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიწის საკუთრებაში გადაცემა დანაშაულია.

მაისურაძეს ადგილობრივი ხელისუფლების "გადაწყვეტილებით" ხორბლის მოსავალი 2004 სოფლის მცხოვრებლების გარკვეულმა ნაწილმა ძალით წაართვა. ამ ფაქტს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მთელი შემადგენლობით ესწრებოდნენ, შემდგომ მაისურაძემ ხორბლის მოსავლის დაბრუნება ფინანსური პოლიციისა და სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით მოახერხა.

2005 წელს ხორბლის მოსავლის წართმევას ხელისუფლების წარმომადგენლების ნაცვლად პოლიციის თანამშრომლები დაესწრნენ, რომლებიც მშვიდად ადევნებდნენ თვალყურს, როგორ იტაცებდა სოფლის მოსახლეობის ნაწილი სხვის საკუთრებას. პოლიციამ დანაშაული არ აღკვეთა და ეს იმით ახსნეს, რომ ისინი შემთხვევის ადგილზე მხოლოდ იმიტომ იმყოფებოდნენ, რათა ადგილი არ ჰქონოდა შეხლა-შემოხლას.

ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური მოხსენება გააკეთა:

"2005 წლის 27 ივლისს მოსავლის უნებართვო აღება და სხვის საკუთრების მითვისება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, რისთვისაც უნდა დაისაჯოს, როგორც ამ მოვლენების ორგანიზატორები და წამქეზებლები, ასევე, შემსრულებლები. პოლიციის თანამშრომლები გულგრილად მოეკიდნენ სამსახურებრივ მოვალეობას და არ აღკვეთეს მხარეებს შორის წარმოქმნილი ფიზიკური დაპირისპირება," - წერია სახალხო დამცველის აპარატის მოხსენებაში.

მოიჯარემ 2005 წელში მოსახლეობის მიერ მიტაცებული ხორბლის დაბრუნება ჯერჯერობით ვერ მოახერხა, დღევანდელი მდგომარეობით კი ის ადგილები, რომელიც ხორბლის დიდი რაოდენობით მოსავლის მოყვანის შესაძლებლობას იძლეოდა, ეკალბარდებით არის დაფარული (საუბარია 230 ჰა.ფართობზე).

# "ენერგეტიკული აურზაური"

პირველი გვერდიდან

შეხვედრამდე გიორგი გუგავა დაჟინებით ითხოვდა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში სემეკს გუშინვე შეეტანა, თუმცა არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ სემეკის სხდომათა დღის წესრიგი წინასწარ დაიგეგმოს.

კერძოდ, გუგავა ირწმუნება, რომ იგი ფლობს კონკრეტულ ფაქტებს იმის თაობაზე, რომ კომპანია "თელასი" აბონენტებს ზედმეტ გადასახადს არასწორად არიცხავს. **"ჩვენ გვაქვს მოქალაქეების მიერ მოწოდებული ქვითრები, სადაც არარსებული ტარიფებია მითითებული. ქვითარში გარკვევით წერია, რომ ტარიფი 1 კვტ-სთ-ზე 15,86 თეთრი ან 15,76 თეთრია. ასეთი ტარიფი საქართველოში არ არსებობს. გვაქვს სერიოზული ეჭვი, რომ აღნიშნულის შედეგად შემოსულ ჭარბ თანხებს კომპანია სხვადასხვა უწყებებზე ანაწილებს,"** - განაცხადა გუგავამ.



სემეკის თავმჯდომარემ კომპანიების განაცხადები არ დააკმაყოფილა.

მისი თქმით, აღნიშნული ქვითრები სემეკს წარედგინება. თავის მხრივ, კომისია შეისწავლის ამ საკითხს და სხდომის თარიღს მოგვიანებით ჩანიშნავს.

შეგახსენებთ, რომ სემეკის მიერ დადგენილი დენის ტარიფი დღგ-ს ჩათვლით პირველ საფეხურზე კვტ-ზე 13.48 თეთრს შეადგენს, მეორე საფეხურზე 16 თეთრს, ხოლო მესამეზე 17,69 თეთრს.

რაც შეეხება ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გუშინდელ სხდომაზე უშუალოდ მიღებულ გადაწყვეტილებებს. სემეკ-მა რეგიონებში გაზის ტარიფის გაზრდაზე უარი თქვა.

შეგახსენებთ, რომ ამ ინიციატივით რამდენიმე თვის წინ, კომისიას საქართველოს ბუნებრივი აირის იმპორტიორთა, რეალიზატორთა და მომხმარებელთა ასოციაციამ რამდენიმე კომპანიის სახელით მიმართა. ყველა მათგანი ბუნებრივი აირის განაწილებისა და მოხმარების ტარიფში ცვლილებების შეტანას ითხოვდა, რაც სამომხმარებლო ტარიფის ზრდას გამოიწვევდა.

მათ შორის, ს/ს "მცხეთაგაზმა" ტარიფის (1 კბმ-ის) 36,54 თეთრიდან 46,8 თეთრამდე გაზრდა მოითხოვა, ს/ს "სამტრედიაგაზმა" 38,5 თეთრიდან 49,3 თეთრამდე, ს/ს "ქარელიგაზმა" 36,03 თეთრიდან 46,2 თეთრამდე, ს/ს "სიღნაღიგაზმა" 39,08 თეთრიდან 42,6 თეთრამდე, ს/ს "გურჯაანიგაზმა 38,5 თეთრიდან 46,6 თეთრამდე.

მათი მოთხოვნა იყო იმით მოტივირებული, რომ გაზის ქსელი საჭიროებს რეაბილიტაციას, მუშამოსამსახურეებს აქვთ დაბალი ხელფასი, დიდი დანაგარკები და რთული ფინანსური მდგომარეობა.

როგორც სემეკის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ განმარტა, კომპანიების განაცხადები იმ მიზეზით არ დაკმაყოფილდა, რომ **"ის დაუსაბუთებელი იყო და ფინანსური, ეკონომიკური და ტექნიკური დასკნები აკლდა."**

თავად, საქართველოს ბუნებრივი აირის იმპორტიორთა, რეალიზატორთა და მომხმარებელთა ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი გოზალიშვილი სემეკის გადაწყვეტილებას უსამართლოს უწოდებს და რეგიონებში გაზმომარაგების შეწყვეტას პროგნოზირებს. როგორც გოზალიშვილმა საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსს" განუცხადა, რეგიონებში გაზგამანაწილებელი კომპანიები ფუნქციონირებას შეწყვეტენ.

**"ასე მოხდა იმ სამი კომპანიიის შემთხვევაში, რომელსაც სემეკმა გასულ სხდომაზე გაზის ტარიფი არ გაუზარდა. ამის შედეგად გაზი აღარ მიეწოდება თელავს, ლაგოდეხსა და გურიას. ანალოგიური პერსპექტივა აქვთ იმ რეგიონულ კომპანიებს, რომლებსაც სემეკმა დღეს ტარიფის გაზრდაზე უარი უთხრა. ვერ დავეთანხმები სემეკის შეფასებას, რომ წარმოდგენილი განაცხადები დაუსაბუთებელი იყო,"** - განაცხადა გოზალიშვილმა. მისივე თქმით, გაზგამანაწილებელი კომპანიების ტექნიკურ დანაკარგებთან დაკავშირებით გაანგარიშებას სემეკი არასწორად ახდენს, რადგან ამისათვის იყენებს იმ ნორმატიულ ბაზას, რომელიც 9 წლის წინ, დროებით (6 თვით) დაამტკიცეს. გოზალიშვილის შეფასებით, რეგიონული კომპანიების მიმართ ამგვარი მიდგომა იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფო ცდილობს ხელსაყრელი გარემო არა ადგილობრივ მეწარმეთათვის, არამედ უცხოური ინვესტორებისთვის შექმნას.

*24 საათი*

# მომენტალური სტუდენტური სესხები სს "საქართველოს ბანკისგან"

*სს "საქართველოს ბანკმა" კიდევ ერთი ახალი პროდუქტი - "მომენტალური სტუდენტური სესხი" დანერგა. დღეიდან, ნებისმიერი კურსის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს სწავლის დასაფინანსებლად მომენტალურად მიიღოს 3000 ლარამდე სესხი.*

**"მინდა აღვნიშნო, რომ აგვისტოს თვეში ზუსტად 1 წელი შესრულდა, რაც "საქართველოს ბანკმა" სტუდენტური სესხების გაცემა დაიწყო. სესხი გაიცემა არა მხოლოდ მათზე, ვინც საქართველოში იღებს განათლებას, არამედ მათთვისაც, ვინც საზღვარგარეთ გეგმავს სწავლას. სწორედ ამ სესხის საშუალებით 10-მდე სტუდენტი უკვე გაემგზავრა საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად. "მომენტალური სტუდენტური სესხი" კი მორიგი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომ სწავლის დაფინანსება ფაქტიურად ყველა სტუდენტისთვის გახდეს ხელმისაწვდომი,"** - განაცხადა "საქართველოს ბანკის" პროდუქტების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბესო აბულაძემ.

აღსანიშნავია, რომ "მომენტალური სტუდენტური სესხის" მისაღებად არ მოითხოვება არანაირი უზრუნველყოფა ან მესამე პირის თავდებობა. სესხის გაცემა მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე ხდება. სესხის მისაღებად საჭიროა: 1. იყოთ სტუდენტის მშობელი ან მეურვე; 2. თქვენი ან თქვენი ოჯახის სხვა ნებისმიერი წევრის შემოსავალი შეადგენდეს მინიმუმ 150 ლარს თვეში.

მომენტალური სტუდენტური სესხის აღება აგრეთვე შეუძლიათ უშუალოდ სტუდენტებსაც, რომელთა შემოსავალი შეადგენს მინიმუმ 150 ლარს თვეში.

მომხმარებლებს, რომლებიც მიიღებენ "საქართველოს ბანკის" "მომენტალურ სტუდენტურ სესხს", საჩუქრად გადაეცემათ პლასტიკური ბარათი და ისინი ავტომატურად ისარგებლებენ: ინტერნეტ-ბანკით, მობილ-ბანკით, ტელეფონ-ბანკით, მუდმივი საგადასახადო დავალებით, კომუნალური გადასახადების მომსახურების სრული პაკეტით.

"სტუდენტური სესხები გაიცემა წერეთლის გამზირზე, "ექსპო ჯორჯიას" საგამოფენო კომპლექსის მე-11 პავილიონში მდებარე სერვისცენტრიდან. სესხი სწავლის პერიოდში უნდა იქნეს გასტუმრებული. **"ჩვენი დევიზია უმღლესი საწავლებლი დაამთავრო ვალების გარეშე,"** - აღნიშნა ბესო აბულაძემ.

*24 საათი*

# Ἀγορά



აგორა ძველბერძნულად მოედანს ნიშნავს. მოგვიანებით მან სახალხო კრების მნიშვნელობა შეიძინა. ბერძნული მოედნები და მათი არქიტექტურა ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ აგორა, განსაკუთრებით ათენში, სხვა მიზეზით გახდა ცნობილი. იქ ხალხი იკრიბებოდა და მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდა. რაც მთავარია, ერთმანეთს ყურს უგდებდნენ და ჭკვიანი თანამოქალაქეების აზრებს ხელისუფალნიც ითვალისწინებდნენ. გონიერი ხალხი დღესაც ბევრი გვყავს, საკითხავია, ვინ როგორ ეკიდება მათ სიტყვებს. ჩვენი აგორა - გაზეთის ერთი მონაკვეთია. ვერ შეგპირდებით, რომ აქ ამოკითხულ მოსაზრებებს უკლებლივ ყველა გაიზიარებს, მაგრამ გპირდებით, სწორედ იმ ავტორებთან ვითანამშრომლებთ, ვისი აზრიც გასათვალისწინებელია. მაშ ასე, აგორაზე გეპატიჟებით.

დაგვიკავშირდით:
ელ-ფოსტით sophiotodua@yahoo.com

# მეცნიერების განვითარება საქართველოში: ბოლო წლების გაკვეთილები

ოლეგ შატბერაშვილი
ექსპერტი

## შესავალი

ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისადმი მიდგომა ერთ-ერთი უტყუარი მაჩვენებელია იმის, თუ რამდენად ფიქრობს საზოგადოება (და ხელისუფლებაც, როგორც მისი ნაწილი) საკუთარი ქვეყნის გრძელვადიან ამოცანებზე, აქვს თუ არა მას მიმდინარე საქმიანობაში გრძელვადიანი კომპონენტები. ამ მხრივ საქართველოში მეცნიერება თითქოს მივიწყებული არაა. პირიქით, მიმდინარეობს ცხარე კამათი მეცნიერების რეფორმის ირგვლივ. მაგრამ არც მეცნიერთა და არც დამკვირვებელთა ენთუზიაზმი არ იგრძნობა. მეც წლების მანძილზე ერთ-ერთი მონაწილე და დამკვირვებელიც გახლავართ. შესაძლოა ჩემი ხედვა საინტერესო აღმოჩნდეს მკითხველისთვის.

## 1. რეფორმა ხარისხს უნდა იძლეოდეს

ცხადია, რომ რეფორმა არაა უბრალოდ ცვლილებები. რეფორმა ისეთი ცვლილებებია, რომელთაც რეფორმირებული ობიექტის გაძლიერება მოსდევს. ამ მხრივ ჩვენთან რეფორმაზე სამი წლის განმავლობაში მუშაობის შედეგი ასეთია: ისედაც მიზერული მეცნიერებაზე ხარჯები 2004-2006 წლებში განუწყვეტლივ მცირდება (*მეცნიერების დაფინანსების დონე, მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტით გამოხატული, განუწყვეტლივ მცირდებოდა დაახლოებით 3%-დან 1985 წელს და ამჟამად 0,2%-ზე ნაკლებია. შედარებისთვის, მოწინავე ქვეყნებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 2%-ს უდრის, ასეთივეა ევროგაერთიანების ქვეყნების მიმართ ევროკმისიის მინიმალური მოთხოვნა*); კვლევითი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომელთა მიმართ ზოგჯერ სამართლიანი პრეტენზიები ისმოდა, უფრო სუსტებით იცვლება; ზოგიერთ სამეცნიერო ორგანიზაციას წაართვეს შენობა, სხვების შენობებების გასხვისებაზე მსჯელობა მიმდინარეობს. ყოველივე ეს დარგში არასტაბილობისა და უიმედობის განწყობას წარმოქმნის, რაც პროდუქტიულობას, რბილად რომ ვთქვათ, ხელს არ უწყობს. მეცნიერების სტატუსი დაეცა. ახალგაზრდობის მეცნიერებაში შემოდინებაზე საუბარი ზედმეტია. არაა ჩამოყალიბებული, გარდა ხელისუფლების მხრიდან ზოგადი სიტყვებისა მეცნიერების განვითარების შესახებ, რით უნდა დასრულდეს ცვლილებები. მაშასადამე, ამ თვალსაზრისით ცვლილებების მიმდინარე პროცესი რეფორმის კრიტერიუმებს ვერ პასუხობს.

## 2. რეფორმა წარმატების მაგალითებს უნდა წარმოაჩენდეს

მრავალ მეთოდოლოგიურ შეცდომას შორის, რომელიც ცვლილებების პროცესს ახლავს, აღვნიშნავ ორს:

ა)მიუხედავად წარმოუდგენელი სიძნელეებისა, რომელიც გასულ წლებში სამეცნიერო ორგანიზაციებს შეხვდა, ზოგიერთმა მათ მეტ-ნაკლებად თავი გაართვა. მათი გამოცდილების შესწავლა და გავრცელება რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტი უნდა იყოს.

ბ)დადებითი ცვლილებები გაცილებით უმტკივნეულოდ მიიღწევა სამუშაოთა ზრდის პირობებში, ვიდრე შემცირების. მაგრამ არა თანაბარი ზრდის, არამედ პრიორიტეტული მიმართულებებით ზრდის. ჩვენ წამგებიანი რეჟიმი ავირჩიეთ.

ყველაზე ცუდი კი, უდავოდ, ისაა, რომ ცვლილებები ***ნეგატიურია უკლებლივ ყველა ორგანიზაციისთვის*** - შედარებით წარმატებულისა თუ წარუმატებლისთვის, ქვეყნისთვის აშკარად ძალიან საჭირო თუ ისეთისთვის, რომელსაც საგანგებო განხილვა სჭირდება. უფრო მეტიც, წარმატებული ორგანიზაციისთვის ამჟამად განხორციელებული ცვლილებები უფრო საშიშია. წარუმატებლისთვის ხომ სულ ერთია, მოხდება ცვლილებები, თუ არ მოხდება. ასეთივე უარყოფითი შედეგი მივიღეთ ადამიანების დონეზე - საპროტესტო მოძრაობაში ერთადაა ჩართული ის, ვინც პრინციპულად რეფორმების მომხრეა და ისიც, ვინც ნებისმიერი ცვლილების წინააღმდეგია. განხორციელებულმა ცვლილებებმა ამ უკანასკნელთა საზოგადოებრივი სტატუსი აამაღლა.

## 3. რეფორმას სჭირდება საკანონმდებლო ჩარჩო

2003 წლის 16 ივლისი, N353 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ორი დოკუმენტი დამტკიცდა: *"სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სანიმუშო წესდება"* და *"სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ატესტაციის დებულება"*. ორივე დოკუმენტი მეთოდოლოგიურად არაკორექტულია, რასაც ქვემოთ ძალიან მოკლედ შევეხებით. სამწუხაროდ, ეს დოკუმენტები დღესაც მოქმედია.

თუმცა მთავარი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ცვლილებები ხორციელდება, 1994 წლის *"მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ"* საქართველოს კანონია 2005 წლის 23 დეკემბრის *ცვლილებებითა* და *დამატებებით*. საწყისი კანონი იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ მის ავტორობაზე ყველა უარს ამბობს. იგი უნდა გაუქმებულიყო, მისი შესწორებები თავისთავად უაზრობაა. ამ დროს, შესწორებების მიღების შემდეგ, პარლამენტში გაისმა: "ჩვენ მივიღეთ მსოფლიოში საუკეთესო კანონი!". ვნახოთ მისი რამდენიმე დებულება.

### სამეცნიერო ორგანიზაციების იურიდიული სტატუსი

შესწორების შემდეგ *"მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ"* საქართველოს კანონი კვლევითი დაწესებულების იურიდიულ სტატუსად მიიჩნევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კრძალავს ასეთი იურიდიული პირების ურთიერთდაქვემდებარებას.

მაგალითად, უნივერსიტეტებს დაქვემდებარებული კვლევითი ინსტიტუტები საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის მიღების შემდეგ წლების განმავლობაში კანონგარეშე არსებობდნენ. უნივერსიტეტები საჯარო სამართლის იურიდიული პირები გახდნენ, დაქვემდებარებულმა კვლევითმა ინსტიტუტებმა კი იურიდიული სტატუსი დაკარგეს. განახლებულმა კანონმა სიტუაცია უცვლელი დატოვა.

მაშასადამე, **განახლებული კანონი კრძალავს კვლევითი ორგანიზაციების ფორმალურ გაერთიანებათა არსებობას**. მთელ მსოფლიოში გაერთიანების სხვადასხვა ფორმები ყოველთვის არსებობდა და არსებობს მეცნიერების სფეროში, რადგანაც ამას სამეცნიერო კვლევის ლოგიკა თხოულობდა და დღესაც თხოულობს. დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი ქვეყნის მაგალითი (აშშ, რუსეთი, შვედეთი და სხვა). მაშ რითაა ჩვენი კანონი "მსოფლიოში საუკეთესო"? სწორი იქნებოდა ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე ყველა ინსტიტუტს დაუყოვნებლივ მინიჭებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რადგანაც მრავალ ათეულ ინსტიტუტს სტატუსი საერთოდ არ გააჩნდა. თუმცა, ამ სტატუსის პრინციპული ხარვეზები ცნობილი იყო. სამი წლის დაგვიანებით ამის გაკეთება, თანაც მტკიცება, რომ რაღაცა არაჩვეულებრივი გავაკეთეთ, საკვირველია. როგორც მინიმუმი, დიდი ხანია უნდა მიგველო საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის შესწორება, რომელიც მეცნიერებაში ურთიერთდაქვემდებარებას დაუშვებდა. უკეთესი კი ის იქნებოდა, რომ კანონით შემოგველო ***სახელმწიფო კვლევითი ორგანიზაციის*** სპეციალური იურიდიული სტატუსი, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია გაკეთებული.

### კვლევითი ორგანიზაციების მართვა

მეცნიერების შესახებ ახალი კანონით ინსტიტუტის **დირექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, "რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და მუშაობის 5 წლის სტაჟი"** (მუხლი 103). ამ განმარტებით დირექტორი შეიძლება ბაკალავრიატდამთავრებულიც იყოს, ანუ ოთხწლიანი განათლებით და ნებისმიერ ადგილზე იყოს ნამუშევარი. ამავე დროს, მაგალითად, იგი ამტკიცებს (ან არ *ამტკიცებს*) სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეულ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (მუხლი 104). როგორ მიიღებს აღნიშნული კვალიფიკაციის ადამიანი გადაწყვეტილებას? დირექტორი, აგრეთვე, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, განსაზღვრავს სამეცნიერო თანამდებობების დაკავების (კონკურსების) წესს (მუხლი 107). საინტერესოა, რომ წესის განსაზღვრის პროცესში სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან თვით საბჭოს მონაწილეობა გათვალისწინებული არაა. ვაი თუ სამეცნიერო საბჭო, რომელიც დირექტორს ირჩევს, გაგიჟდა (ან ზეწოლა განიცადა) და მართლა აირჩია დირექტორი კანონის მინიმალური მოთხოვნიდან გამომდინარე. რა ეშველება მაშინ ინსტიტუტს?

მართვის საერთო პრაქტიკიდან გამომდინარე, რაც უფრო პატარაა ორგანიზაცია, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ხელმძღვანელობისთვის დარგის პროფესიულ ცოდნას და არა ზოგადი მართვის ცოდნას. ჩვენი ინსტიტუტები იმ ზომისაა (30-150 კაცი), რომ დიდ კვლევით ინსტიტუტებში განყოფილებებია უფრო დიდი. **ცალსახაა, რომ მათ მართვას უკეთესად განახორციელებს დარგის მცოდნე, რომელსაც დაექვემდებარება ადმინისტრაციული ხელმძღვანელი (ერქვას მას, თუ გნებავთ, დირექტორი).** მაშ რატომ ადგენს კანონი საპირისპირო წესს?

### ფინანსური უზრუნველყოფა

მუხლი 15-2 გვეუბნება: "სამეცნიერო კვლევების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე, დაწესებულების საბიუჯეტო (ბაზურ) დაფინანსებასთან ერთად, ხორციელდება საგრანტო სისტემით". ეს ფრაზა ტერმინოლოგიურად გაუმართავია. ის რასაც ჟარგონზე "ბაზურ" დაფინანსებას უწოდებენ (კანონში ჟარგონის გამოყენება არ ღირს), არის საწესდებო საქმიანობის დაფინანსება. მაგრამ ეს დიდი პრობლემა არ იქნებოდა (რადგანაც შინაარსი გასაგებია), რომ არ იყოს მუხლი 101-2 **"დაწესებულებიდან ზედიზედ 3 წლის განმავლობაში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტზე განაცხადის წარუდგენლობა ან 5 წლის განმავლობაში გრანტის მიუღებლობა შეიძლება გახდეს დაწესებულებიდის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საფუძველი"**. შემიძლია დავასახელო რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება, რომელთა საწესდებო საქმიანობა საქართველოსთვის უნიკალურია. ვისთან ან რისთვის უნდა შევიდნენ ეს ორგანიზაციები საგრანტო კონკურენციაში? შემდეგ, ორგანიზაციას შეიძლება გააჩნდეს დაკვეთები მრეწველობისგან (რაც ასჯერ უფრო საინტერესოა ქვეყნისთვის, ვიდრე მის მიერ გრანტების მიღება) და არ ჭირდებოდეს გრანტები და ა. შ.

**ამ კანონის შესწორებებით თუ რამე გაკეთდა კარგი, ეს სახელმწიფო გრანტების სისტემის შემოღებაა. ეს წახალისების სისტემაა, მაგრამ კანონმდებელი რატომღაც ცდილობს დასჯის სისტემად აქციოს!**

კანონი სავსეა წინააღმდეგობებით, ბუნდოვანი და არაპროფესიულად ჩამოყალიბებული მუხლებით. მაგრამ ამის დეტალური გარჩევა წინამდებარე წერილის ამოცანა არაა. მოყვანილი მაგალითები საკმარისია. შემაშფოთებელია საერთო განწყობა, რომელსაც კანონი ბადებს: უსაფუძვლო აჩქარების, უნდობლობისა და მანიპულირების პერსპექტივის.

## 4. რეფორმას წინ უნდა უძღოდეს დისკუსია

როგორც ხელისუფლება, ასევე სამეცნიერო ელიტის ნაწილი, რომელიც 2002-2004 წლებში "რეფორმას" უხმაუროდ ამზადებდა, რეალური ამოცანისთვის ცუდად მომზადებული აღმოჩნდა. ეს მკაფიოდ აჩვენა 2005 წელს გამართულმა საჯარო დისკუსიამ, რომელიც მეცნიერების შესახებ კანონის შესწორებების მიღებას წინ უძღოდა. დამამახსოვრდა რამდენიმე მოსაზრება, რომელიც საჯაროდ გაისმა ოფიციალური პირებისგან (ზოგიერთი კი კანონპროექტებში და მიღებულ ნორმატიულ აქტებშიცაა ასახული) და მინდა მათ კომენტარი გავუკეთო.

ა) *"მეცნიერებათა აკადემია სოციალიზმის გადმონაშთია"*.

2004 წელს, თბილისში საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას ცნობილმა ამერიკელმა ფიზიკოსმა ჯიმ გეიტსმა თქვა: "ორივე ქვეყანამ, - აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა, - შექმნეს სამეცნიერო კვლევების ძლევამოსილი (powerful), თუმცა განსხვავებულად ორგანიზებული, სისტემები". ნიშანდობლივია, როგორ თარგმნა ეს ფრაზა ახალგაზრდა თარჯიმანმა: "ორივე ქვეყანამ, - აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა, - შექმნეს სამეცნიერო კვლევების სისტემები, თუმცა საბჭოთა ძალაზე იყო დამყარებული". ესაა ერთ-ერთი სტერეოტიპი, რომელიც, სამწუხაროდ დაედო საფუძვლად ჩვენ "რეფორმას". შევნიშნავ მხოლოდ, რომ აკადემია უნივერსიტეტებთან ერთად საბჭოთა კავშირში თავისუფალი აზროვნების კუნძული იყო. სხვა საკითხია, რომ თვითონ აკადემიებმა ვერ მოახერხეს ახალ პირობებზე ადაპტირება, თუმცა მთავრობები ამას არც სთხოვდნენ.

ბ) *სამეცნიერო ორგანიზაციების დაფინანსება მხოლოდ საკონკურსო უნდა იყოს, ხოლო "საბაზო" არ უნდა არსებობდეს.*

ტერმინს "საბაზო", რომელიც განუწყვეტლივ ისმოდა ორივე მოკამათე მხარისგან, ბევრი შეცდომაში შეყავს. სწორი ტერმინია "საწესდებო საქმიანობის დაფინანსება". ანუ, როდესაც სახელმწიფო ორგანიზაციას ქმნის და წესდებას უმტკიცებს, ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის დაფინანსების ვალდებულებასაც კისრულობს. მაგალითად, თუ სახელმწიფომ ასტროფიზიკური ობსერვატორია შექმნა, საეჭვოა, რომ რომელიმე სხვა ორგანიზაციას აღმოაჩნდება ისეთივე აპარატურა (ტელესკოპები და სხვა). ამიტომ, ასტროფიზიკურ დაკვირვებებზე კონკურსის გამოცხადება უაზრობაა. ეს კვლევითი სამუშაოების დაფინანსების ანბანია მთელ მსოფლიოში. დაფინანსების გავრცელებული თანაფარდობაა: საწესდებო საქმიანობისთვის - 70%, კონკურსებით - 30%.

გ) *"ჩვენ დავითვალეთ, რომ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკსა და გრანტს შორის 15 იერარქიული დონეა"*, აგრეთვე, *"ჩვენ დავაფინანსებთ მეცნიერებს და არა ინსტიტუტებს"*.

"ახალგაზრდა" მეცნიერებაში ფარდობითი ცნებაა, ზოგიერთ შემთხვევაში ახალგაზრდათ მიიჩნევა მეცნიერი 35 წლამდე. ამ ასაკში იგი შეიძლება ცნობილიც და გავლენიანიც იყოს. ავტორი დამწყებ მეცნიერს თუ გულისხმობდა, 15 დონე კი არა, უფსკრული შეიძლება იყოს მასსა და საგრანტო თემატიკის დაგეგმვას (რა თქმა უნდა არა შესრულებას) შორის. მსოფლიო მეცნიერება დღეს მთლიანად ინსტიტუციონალიზებულია. სერიოზული დაფინანსება, მათ შორის საგრანტოც, ორგანიზაციებს ეძლევა. აქ კი დამწყების გავლენა შეზღუდულია. ეს მხატვრულ ლიტერატურაშიც კი არაერთგზისაა აღწერილი. რა თქმა უნდა, არსებობს გრანტები ინდივიდუალებისთვისაც, მაგრამ მათი საერთო მოცულობა მეცნიერებაზე ასიგნებული თანხების მეტად უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს.

დ) *თუ მეცნიერი კვლევითი ინსტიტუტიდან უნივერსიტეტში გადავა, "საკუთარ დაფინანსებას" თან გადაიტანს.*

არსებული საბუღალტრო წესების, სამუშაოს შესრულებისთვის ორგანიზაციის პასუხისმგებლობისა და სხვა მმართველობითი რეალობების გათვალისწინებით, ეს ძნელი წარმოსადგენია.

ე) *"ფუნდამენტური" მეცნიერება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე "დანარჩენი" მეცნიერება.*

ყველა სახის სამეცნიერო საქმიანობა მნიშვნელოვანია, ყველას აქვს თავისი ადგილი - ფუნდამენტურს, გამოყენებითს, შემუშავებას, სამეცნიერო მომსახურებას და სხვა. მათი თანაფარდობა დამოკიდებულია ქვეყნის სიდიდეზე, განვითარების დონეზე, ეკონომიკის სტრუქტურაზე და ა. შ. აშშ-ში, მაგალითად, შეშფოთებას იწვევს ის, რომ უნივერსიტეტებში მეცნიერებს დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით, ურჩევნიათ გამოყენებით სფეროში მუშაობა, ვიდრე ფუნდამენტურში. როგორც წესი, ფუნდამენტური კვლევების წილი ქვეყანაში 20%-ს არ აღემატება.

ვ) *"მეცნიერი და სამეცნიერო ორგანიზაცია უნდა იყოს "თავისუფალი". სამინისტროს დაქვემდებარებაში ინსტიტუტები უფრო "თავისუფალნი" იქნებიან, ვიდრე აკადემიაში"*.

ამის მთქმელს მხედველობაში თუ ჰქონდა ორგანიზაციების ქონების გასხვისების თავისუფლება, მაშინ ეს სიმართლეს ჰგავს. სხვა მხრივ, მეცნიერთა "თავისუფლება" უაღრესად პირობითი ცნებაა. ფუნდამენტურ კვლევაშიც კი, სადაც მიმართულების არჩევა მთლიანად სამეცნიერო ორგანიზაციების საქმეა, თავისუფლება ამით თავდება. საშუალოდ 14 საათიანი სამუშაო დღე, მაღალი მომთხოვნელობა - ესაა კარგად ორგანიზებული კვლევითი პროცესის მახასიათებლები. გამოყენებით კვლევებში, მრეწველობაში თავისუფლების ხარისხი კიდე უფრო დაბალია - მეცნიერები დავალებით მუშაობენ, თუმცა დავალების ჩამოყალიბებაში უშუალოდ მონაწილეობენ.

## 5. რა საკითხები უნდა განხილულიყო

სერიოზული საკითხები დისკუსიის მიღმა დარჩა. ზოგადი, მაგრამ ამავე დროს, საკვანძო საკითხი კი ასეთია: რისი მიღება სურს ქვეყანას მეცნიერებისგან და რისი შეთავაზება შეუძლია მეცნიერებას ამჟამად, უახლოეს მომავალში, შორეულ მომავალში? რაში უნდა გადაიხადოს საზოგადოებამ ფული განვითარების მიმდინარე ეტაპზე, შემდეგ ეტაპებზე? ანუ, რისთვისაა საჭირო საქართველოში მეცნიერება? საკითხს ასე თუ დავსვამთ, დაახლოებით შემდეგი გაირკვევა.

ა) *მეცნიერება საჭიროა სახელმწიფო მშენებლობისა და მართვის უზრუნველსაყოფად*. ცნობილ ვაინბერგის კომისიის მოხსენებაში აშშ კონგრესისთვის 1962 წელს, ნათქვამია "შესაძლებელია ცუდი მართვა კარგი ინფორმირების პირობებში, მაგრამ კარგი მართვა ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია". ხარისხიანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღება (განსაკუთრებით გრძელვადიანი სტრატეგიის საკითხებზე) დღევანდელ პირობებში, როდესაც სახელმწიფოები განიცდიან შიდა და გარე ფაქტორთა დიდი რაოდენობის ზეგავლენას, შეუძლებელია სამეცნიერო ექსპერტიზის გარეშე. მისი უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ კარგად ორგანიზებულ სამეცნიერო კვლევების სახელმწიფო სისტემას, რომელიც მუდმივ საწყისებზე ფუნქციონირებს და როგორც ჰუმანიტარულ, ასევე საბუნებისმეტყველო და დარგობრივ დისციპლინებს მოიცავს. ამოცანათა ამ ჯგუფში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკა, მართვა, იურისპრუდენცია, სოციოლოგია, ინფორმატიკა და სხვა. ამ ფუნქციის შესრულებაში არსებული კვლევითი ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების გარდა, კვლევითი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შეუძლიათ წვლილის შეტანა.

ბ) *მეცნიერება საჭიროა ქვეყანაში განათლების სტანდარტის უზრუნველსაყოფათ*. აქ გადამწყვეტია ფუნდამენტური კვლევების (უკეთესია თქმა საბუნებისმეტყველო და მათემატიკური კვლევების) როლი. პატარა ქვეყანაში სწორედ განათლების სტანდარტის უზრუნველყოფაა მათი დაფინანსების მთავარი მოტივი. სტერეოტიპს - ფუნდამენტური კვლევა ყველაზე მომგებიანია, - რომელიც სამართლიანია გლობალურად და დიდ ქვეყნებში, სადაც ციკლი "ფუნდამენტური კვლევა-წარმოება" შედარებით ადვილად იკვრება, ფრთხილად უნდა მივუდგეთ. პატარა ქვეყანაში მათი მაღალი დონე უზრუნველყოფს საბაზო საგნების ხარისხიან სწავლებას: მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის. თუ ბაზა ძლიერია, ადვილია შემდგომი სპეციალიზაცია ადგილზე თუ უცხოეთში.

გ) *მეცნიერება საჭიროა ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლათ*. დავესესხები ნაწილობრივ 2004 წლის "მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაციის შესახებ" მოხსენების ავტორებს და ვიტყვი, რომ თანამედროვე მკაცრ გარემოში მეცნიერება რელიგიასთან და კულტურასთან ერთად ხდება ერისა და სახელმწიფოს თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის ძირეული ნიშანი და გარანტი. 21-ე საუკუნეში მეცნიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცირე ერის თვითგადარჩენისთვის (მაგალითად, საკუთარი ენის შენარჩუნებისთვის). პროგნოზით საუკუნის ბოლოს არსებული 6000 ენიდან დარჩება 100. ენა განვითარდება, თუ იარსებებს სამეცნიერო პუბლიკაციების სისტემა და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე. ამ ამოცანას სპეციალურ სამეცნიერო დაწესებულებათა ჯგუფი ემსახურება, თუმცა, ამაში მთლიანად კვლევათა სისტემაც მონაწილეობს. განსაკუთრებული ადგილი უკავია ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ეს ჯგუფი უზრუნველყოფს როგორც განათლების სტანდარტს, ასევე ქვეყნის წარსულსა და მომავალს შორის უწყვეტი კავშირის მდგრადობას.

დ) *მეცნიერება საჭიროა ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების მხარდასაჭერად*. ძნელი დასათვლელი არაა, რომ საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ის ნაწილი, რომელიც ბუნებრივ რესურსებზე და გეოგრაფიულ მდებარეობაზეა დამყარებული (ტრადიციული ნაწილი), მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოწინავე დონეს ვერ უზრუნველყოფს. სხვაობის კომპენსაცია მხოლოდ დამატებითი, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხარჯზეა შესაძლებელი. ცოდნაზე დამყარებულ საზოგადოებაში ეს მაღალი ტექნოლოგიების ათვისებას გულისხმობს, რასაც, - იქნება ეს საკუთარი ტექნოლოგიების შექმნა, თუ იმპორტირებულის ათვისება, - მეცნიერები სჭირდება. **სამეცნიერო დაწესებულებათა სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს იმ დარგების სამეცნიერო მომსახურებას, რომლებიც ვითარდება და მომავალშიც განვითარდება საქართველოში. ამავე დროს იგი უნდა ქმნიდეს ინტელექტუალურ პოტენციალს იმ დარგებისთვის, რომელთა მამავალში განვითარების წინასწარმეტყველება დღეს არავის შეუძლია.**

ე) *მეცნიერება საჭიროა ადამიანის საარსებო გარემოზე დაკვირვებისა და მონაცემთა (ან სამეცნიერო ინფორმაციის) გაცვლის გლობალურ ქსელებში მონაწილეობისთვის*. ამას უზრუნველყოფს ჰიდრომეტეოროლოგია, გეოფიზიკა, გეოლოგია, ასტროფიზიკა, სამეცნიერო ინფორმაცია, ნაწილობრივ ჯანდაცვა და ზოგიერთი სხვა დისციპლინა, რომელიც საქართველოში კვლევით ორგანიზაციათა ჯგუფითაა წარმოდგენილი. ეს მიმართულებები წარმოდგენილია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილისა და პოლიტექნიკურ უნივერსიტეტებში.

■ ■ ■

კვლევითი ორგანიზაციების ასეთი, ფუნქციური, დაჯგუფების პირობითობის მიუხედავად, რეფორმის ამოცანის შესასრულებლად იგი უფრო პროდუქტიულია, ვიდრე სამეცნიერო დისციპლინებად ან დაქვემდებარების მიხედვით დაყოფა (მაგ., აკადემიურებად/არააკადემიურებად). მიმდევრობა ჩამონათვალში ჯგუფის მნიშვნელობას ან პრიორიტეტს არ აღნიშნავს. ჯგუფები იმდენად განსხვავებულია, რომ მათი ერთი საზომით გაზომვა არ შეიძლება. ყოველს სპეციფიური შეფასების კრიტერიუმები და მართვის მეთოდები ესაჭიროება. სწორედ ესაა იგნორირებული ზემოაღნიშნულ *"ატესტაციის დებულებაში"*.

დისკუსიის (შესაძლოა, აგრეთვე, სპეციალური ინფორმაციული გამოკვლევის) შედეგად გაირკვევა, რამდენად აკმაყოფილებს კვლევების არსებული სისტემა ქვეყნის წინაშე დასმულ ამოცანებს, რა კომპონენტები აკლია, რომელს ესაჭიროება რეაბილიტაცია/გაძლიერება და ა.შ. რაც უნდა დიდი იყოს მეცნიერებაზე საერთო ხარჯების შემცირების სურვილი, ზოგიერთი მიმართულება დაუყოვნებლივ უნდა გავაძლიეროთ, რათა ქვეყანას ზარალი არ მივაყენოთ (მაგალითად, საარსებო გარემოზე დაკვირვებისა და ინფორმაციის გაცვლის ორგანიზაციათა ჯგუფი).

კვლევების არსებული სისტემა, თემატურად და ორგანიზაციულად ოპტიმიზირებული იყო სულ სხვა ქვეყნის ამოცანების შესაბამისად. საქართველოსთვის სპეციფიური ამოცანები იგნორირებული არ იყო, მაგრამ პირველხარისხოვნადაც არ მიიჩნეოდა. ამის გამოსწორების მცდელობები ჯერ კიდევ წინა საუკუნის 70-ან წლებშიც გაკეთდა, მაგრამ წარუმატებლობისთვის იყო განწირული. დამოუკიდებელ საქართველოს აქვს წარმატების შანსი.

განხილვის საგანია ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარება, ხოლო მეცნიერების განვითარება ამ საქმის აუცილებელი ნაწილია. საჭიროა მსჯელობა სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების მართვის სისტემაზე და არა მხოლოდ მეცნიერების მართვის სისტემაზე. მან უნდა განსაზღვროს: მეცნიერებისა და წარმოების თანანშრომლობის მხარდაჭერის ღონისძიებები; საპატენტო პოლიტიკა; სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციისა და ტექნიკური ტესტირების პოლიტიკა და ა. შ. სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარება აღიწერება მსოფლიოში მიღებული მახასიათებლებით (ინდიკატორებით), რომელთა ენაზეც უნდა ხდებოდეს მსჯელობა: დაფინანსების დონე, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილი; საინფორმაციო უზრუნველყოფაზე ხარჯების დონე და ა. შ.

## დასკვნა
### (რა არის გასაკეთებელი)

**არც მთავრობა, არც ოპოზიცია და (რაც გასაკვირია), არც მეცნიერები არ მსჯელობენ იმ კატეგორიებით, რომლითაც მიღებულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე მსჯელობა.** ანუ, არის იმის ნიშნები, რომ პრობლემები მხოლოდ კონკრეტული ხელისუფლების ბრალი არაა. თვით მეცნიერებსაც კი არ გააჩნიათ კვლევათა სისტემის ერთიანი აღქმა. ასე იქნება მანამ, სანამ სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების მკაფიო კონცეფციას არ შევიმუშავებთ და სათანადო პოლიტიკურ დოკუმენტს არ მივიღებთ. რამდენადაც ბანალური არ უნდა მოგვეჩვენოს, სხვა რეცეპტი არ არსებობს - **უნდა ჩამოვაყალიბოთ დაწერილი, დაინტერესებული მხარეების მიერ შეთანხმებული, სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა,** რა დავაც არ უნდა უძღოდეს წინ ამას. უნდა გავცეთ ყველასთვის გასაგები პასუხი მიამიტ კითხვას, რომელიც ძალიან ბევრს ებადება: რისთვის არის საჭირო მეცნიერება საქართველოში? პასუხი ისეთი უნდა იყოს, რომ ნებისმიერ მოქალაქეს ადვილად გააგებინო: ფული ტყუილად არ იხარჯება.

*ოლეგ შატბერაშვილი - ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლაზერების ფიზიკის სფეროში. 1965-1973 წლებში მუშაობდა ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში ნობელის პრემიის ლაურეატ ნიკოლოზ ბასოვის ლაბორატორიაში. 1974-1976 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში პირველი ქართული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შედგენასა და განხორციელებაზე აკადემიკოს ირაკლი გვერდწითელის ხელმძღვანელობით. 1976-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ამჟამად ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაციის თავმჯდომარეა. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი ნაშრომი ფიზიკის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და მეცნიერებათმზომელობის სფეროებში. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სფეროში რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციისა და წამყვანი სამეცნიერო ჟურნალის საბჭოს/რედკოლეგიის წევრია.*

# გერმანული ღირსება და სინდისი ერთად

*გერმანელ ხელოვანებსა და კულტურის წარმომადგენლებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ: სულ რაღაც სამი თვე დარჩა, სანამ ცნობილი გერმანელი ექსპრესიონისტი მხატვრის ერნესტ ლუდვიგ კირხნერის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი "ბერლინის ქუჩაში" აუქციონზე გაიყიდება. ამ დანაკარგს გერმანია იოლად ვერ შეეგუება, ამიტომაც ხშირად გაისმის მომთხოვნი ფრაზები იმის თაობაზე, რომ ნამუშევრის სამშობლოში დატოვებისთვის, მისი ღირებულების დასაფარად საჭირო თანხების გამოყოფაა აუცილებელი. აბა თანხებს ვინ გამოყოფს, ამიტომაც ხელოვნების მოყვარულმა გერმანელებმა იციან, რომ ფულის შეგროვება-მოძიება თავად მოუწევთ. წინასწარი ინფორმაციით ნახატი დაახლოებით 23 მილიონ დოლარად უნდა გაიყიდოს და რომელიმე კერძო კოლექციონერის მფლობელობაში არაფრით არ უნდა აღმოჩნდეს...*






სოფო კილასონია

ნამუშევარი, რომლის გარშემოც ამხელა მითქმა-მოთქმა გაჩაღდა, ომამდე ფეხსაცმლის მწარმოებელს, ვინმე ალფრედ ჰესს ეკუთვნოდა. მაგრამ ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის შემდეგ მფლობელმა ნამუშევარი გაყიდა და თავად ქვეყნიდან გაიქცა. მას შემდეგ გერმანიის ცის ქვეშ, მოგეხსენებათ, რომ მრავალი რამ მოხდა, თუმცა "ბერლინის ქუჩის" ძველ მფლობელს იგი ნამდვილად არ დავიწყნია. ჰესს მემკვიდრეები დარჩა და სათანადოდ, სურათის კანონიერ მფლობელობაში დაბრუნების მოსარჩელეც. მემკვიდრემ სულ ახლახანს გააპროტესტა ის ფაქტი, რომ ერნესტ კირხნერის ნამუშევარი კანონიერ მფლობელს არ გააჩნია, რასაც იმით ადასტურებდა, რომ მისი გასხვისება ყალბია. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავის დროზე ნამუშევარი შესაბამისად არ შეფასდა, აღმოჩნდა, რომ პირველად მფლობელს ნაცისტების შიშით ნამუშევრის ძალზე იაფად გაყიდვა მოუწია და ა.შ. ასე თუ ისე, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, გერმანიამ მოსარჩელე კანონიერ მემკვიდრედ აღიარა და სურათიც მას გადასცა. გერმანელ მუზეოლოგებსა და კრიტიკას ამ ნამუშევრის გატანის თაობაზე არც ერთი ნეგატიური აბზაცი არ დაუწერია. მაგრამ, თუ კარგად გადავხედავთ ცნობილი ევროპული ჟურნალ-გაზეთების ინტერნეტ ვერსიებს, დავინახავთ, რომ დანარჩენი ევროპა მათ ამ რეაქციას უცნაურად მიიჩნევს.

არა და მაინც, რა არის ამაში გასაკვირი? სურათის ისტორიულმა მფლობელმა თავი რეპრესირებულად გამოაცხადა, ნამუშევრის გადაცემა კი მათთვის ერთგვარ კომპენსაციად უნდა აღვიქვათ, რომელიც გერმანიის ხელისუფლებამ სიამოვნებით გაიღო.

არ ყოფილა მთავრობის კრიტიკა, მაგრამ არის შფოთი. სურთ, რომ ექსპრესიონისტის ტილო სამშობლოს დაუბრუნდეს. ამის რეალური და ლოგიკური საფუძველი მართლაც არსებობს. "ბერლინის ქუჩაში" კრისტის აუქციონზე გააქვთ და 9 ნოემბერს გადაწყდება მისი მომავალი, მისი ახალი ისტორია.

თუმცა რაც შეეხება ისტორიას.

მიუხედავად მეტ-ნაკლები სიმშვიდისა, გერმანელმა ხელოვნების ისტორიკოსებმა ნამუშევრის ისტორიის თაობაზე ერთობ განსხვავებული თეზა მაინც ჩამოაყალიბეს და როგორც მოსალოდნელი იყო, სურათისა და "არიული ოდას" თანაარსებობას კითხვის ნიშანი დაუსვეს.

რადგანაც გერმანულ საიტებზე გავრცელებულ ამ პატარა საინფორმაციო ტექსტებს ამდენი ადგილი და ყურადღება დავუთმეთ, აჯობებს, მათგან განსხვავებით, ბევრად თანმიმდევრულები ვიყოთ და კირხნერის ბიოგრაფიაში "ბერლინის ქუჩის" ადგილმდებარეობა და ზუსტი ვინაობაც გამოვამზეუროთ.

მხატვრული მოძრაობის "ხიდის" მონაწილემ და ერთ-ერთმა ლიდერმა ერნესტ ლუდვიგ კირხნერმა აღნიშნული ნამუშევარი 1913 წელს შეასრულა, ანუ მანამდე, სანამ იგი ჯარისკაცი გახდებოდა და სამხედრო მოღვაწეობას სულ რაღაც ორ წელიწადში ნერვული აშლილობით არ დაასრულებდა. ამის შემდეგაც მისი ჯანმრთელობა ნელ-ნელა მძიმდებოდა. მხატვარმა სიცოცხლე 1938 წელს, თვითმკვლელობით დაასრულა.

ტილო მართლაც ჰესს, ფეხსაცმლის მწარმოებელს ეკუთვნოდა. გერმანიის მთავრობის ქონების მართვის და სხვა მსგავსი უწყებები ირწმუნებიან, რომ ის ზეწოლის გამო იძულებული შეიქნა გაეყიდა ეს ნამუშევარი, თუმცა, აღმოვაჩინეთ სერიოზული და საინტერესო "თუმცა": ლონდონური The Times სრულიად ალტერნატიულ ვერსიას აქვეყნებს, რომლის ავტორიც ბერნდ შულცე გახლავთ, როგორც ვიცით, სწორედ ის შულცე, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან გერმანელ არტდილერს რომ წარმოადგენს. მის აზრს თუ გავყვებით, 1929 წელს, დიდი დეპრესიის ჟამს, ჰესი გაკოტრდა და მხოლოდ კაპიტალის, მათ შორის სურათების კოლექციის თანდათანობითი გასხვისებით სულდგმულობდა. ემიგრაციაში მეწარმე ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე წავიდა, რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო სურათს, შულცეს თქმით, იგი მფლობელმა მხოლოდ ინგლისში ცხოვრების დროს, 1936 წელს გაყიდა. "ბერლინის ქუჩაში" ფრანკფურტელმა კოლექციონერმა კარლ ჰემეგანმა შეიძინა. ჰემეგანი საკუთარ ბიზნესს აწარმოებდა და როგორც წერენ, არანაირი კავშირი არ ჰქონია ნაცისტურ ელიტასთან, მეტიც იგი კირხნერის ძველი მეგობარი და მისი ხელოვნების დიდი დამფასებელი უნდა ყოფილიყო.

აქ გერმანელი დილერის ვერსია სრულდება და ამ ისტორიაში ყველა ჩვენთვის არსებული ვერსია ერთ წერტილში იკვრება: გერმანიის მთავრობამ ცნობილი სურათი კერძო მფლობელისგან მხოლოდ ომის შემდეგ შეიძინა. ბოლო 26 წელიწადი ნამუშევარმა ბრუკის მუზეუმში გაატარა. როგორც ცნობილია, აღნიშნული მუზეუმი სწორედ "ხიდის" შემოქმედებას ეძღვნება და სათანადოდ მას უთმობს ყველაზე დიდ ადგილს. სასწაულია ისიც, რომ "ბერლინის ქუჩაში" არ მოხვდა იმ ნამუშევრების რიცხვში, რომლებიც ჰიტლერის ბრძანებით განადგურდა, მაშინ, როცა დიდმა ფიურერმა "დეგენერატული ხელოვნების" წინააღმდეგ მთელი კამპანია გამართა. მკითხველს შევახსენებთ, რომ მას, რბილად რომ ვთქვათ, არ ესიმპათიურებოდა ექსპრესიონიზმი და საერთოდ ყველა სხვა მხატვრული "იზმი" და სრულ უპირატესობას მარტივ, "რეალისტურ" პეიზაჟებს ანიჭებდა, სწორედ ისეთს, თავად რომ ქმნიდა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა. ისე კი, აქვე აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომელიც ჩვენ კარგა ხანია აღმოვაჩინეთ, კონკრეტულად ის, რომ სოც-რეალიზმის პარალელურად, დაახლოებით მსგავსი და ბევრით არაფრით გამორჩეული იდეოლოგიური არტი ფიურერის გერმანიაშიც ვითარდებოდა. ზუსტად არ ვიცი, რამდენად მოხდა ამ ორი სახელოვნებო მოვლენის (სოციალისტური და ნაცისტური იდეოლოგიისა და კულტურის) გამოფენებსა და დოკუმენტურ მასალა-ექსპონატებზე დაყრდნობით პარალელურ ჭრილში წარმოდგენა, თუმცა მათი "არტის" მსგავსება არაერთი თანამედროვე მკვლევარისთვის დავას აღარ იწვევს... თუმცა დავუბრუნდეთ იმ ევროპელ ავტორებს, რომლებსაც ამ ბოლო ათეული წლის განმავლობაში ამა თუ იმ შედევრის და, შესაბამისად, ამა თუ იმ ქვეყნის (განსაკუთრებით გერმანიისა და ავსტრიის) კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ბჭობა რატომღაც დასჩემდათ.

"ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ სურათი გაიყიდა მართლაც ზეწოლის ფონზე, მართლაც კირხნერისთვის შეუფერებელ ფასად", "ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველ და კანონიერ მფლობელთ პრაქტიკულად არაფერი მიუღიათ სურათის სანაცვლოდ, გარდა ემიგრაციისა", "ჩვენ ეჭვი არ უნდა შევიტანოთ, ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებასა და იმაში, რომ ჰესის ოჯახი კირხნერის შედევრის მართლაც კანონიერი მემკვიდრეა" და ა.შ. ამგვარი ფრაზებითა და ამავდროულად არაერთი ღიად დარჩენილი, სევდანარევი კითხვებით სრულდება ყველა გერმანული სტატია-ესე. ფრაზა, რომ "სანამ ეროვნულ მემკვიდრეობას გავასახსოვრებთ, რიგიანი გამოძიება უნდა ჩატარდეს" გაისმა, მაგრამ ძალზე დაბალ ხმაზე. არადა ევროპისთვის ამგვარი საკითხები ეროვნულ ღირსებასთან პირდაპირ და უშუალოდ იყო კავშირში.

მსგავსი პრეცედენტი, ჩვენთვის ცნობილიც კი, არაერთია. გავიხსენოთ თუნდაც სულ უახლოეს წარსულში კლიმტი, მისი ხუთი ტილო, მადამ ბლოხ-ბაუერი და მთელი ისტორია გაჩაღებული შატებსა და ავსტრიას შორის.

ზუსტად მსგავს სიტუაციაში ავსტრიამ გუსტავ კლიმტის ხუთი შედევრი, მათ შორის ამ მხატვრის ყველაზე ცნობილი სურათი - მადამ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი, შტატებს გაამგზავრა. ახალმა თუ ძველმა მფლობელმა ეს უკანასკნელი ნამუშევარი მალევე გაყიდა, იგი 135 მილიონ დოლარად პარფიუმერიის მაგნატმა რონალდ ლაუდერომ იყიდა. დანარჩენ ოთხს ამ შემოდგომით აუქციონის საბედისწერო ჩაქუჩი გაასხვისებს. ავსტრიის მოქალაქეები და მოხალისეები ერთხანს კიდეც ცდილობდნენ მილიონობით დოლარის შეგროვებას და ტილოების რომელიმე ავსტრიულ, ცნობილ მუზეუმში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ, მაგრამ ვერ მოასწრეს.

როგორც ჩანს, ამაში მათაც ნაციონალურმა სინდისის ქეჯნამ და დანაშაულის გრძნობამ შეუშალა ხელი.

## ოსკაროსანი რეჟისორი



იმისათვის, რომ ფილმი უფრო საინტერსო გამოვიდეს, რეჟისორებს ხშირად უწევთ სხვადასხვა ადგილებში მოგზაურობა. ასეთი ფილმები მაყურებელში შედარებით დიდ ინტერესს იწვევს და რა თქმა უნდა, ავტორებისთვისაც უფრო მომგებიანია. ამ პრაქტიკას ხშირად მიმართავენ ჰოლივუდში. ბოლო წლებში ამ პრაქტიკას რუსმა რეჟისორებმაც მიმართეს. ამჯერად თავისი კოლეგების მაგალითს, დღესდღეობით ყველაზე ცნობილი რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვიც მიმართავს. რამდენიმე წლის წინ მისი ფილმი "მზის ჩასვლა" ძალიან პოპულარული გახდა და 1994 წელს "ოსკარიც" მიიღო, როგორც საუკეთესო არაინგლისურენოვანმა ფილმმა. რეჟისორმა გადაწყვიტა გაიმეოროს თავისი წარმატება და გადაიღოს ამ ფილმის გაგრძელება. ახალი ფილმი ორი ნაწილისგან იქნება შემდგარი.

როგორც იუწყებიან, ფილმზე მუშაობა უკვე მთელი დატვირთვით მიმდინარეობს. ფილმის ნაწილი უკვე გადაიღეს "მოსფილმის" პავილიონში. ამჟამად გადამღები ჯგუფი ნიჟეგოროდის ოლქის ტყეში გაემართა. სწორედ იქ იპოვა რეჟისორმა ფილმისთვის საუკეთესო პეიზაჟები. ფილმის გადაღებები გაგრძელდება პატარა სოფელ პოლიანში, ქალაქ პავლოვთან ახლოს. სოფელში სულ 40 სახლია და არც ერთი არ არის აგურით ნაშენები - სწორედ ეს იყო რეჟისორის მთავარი მიზანი, რომ გადასაღები პუნქტი ყოფილიყო ნატურალური. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, სოფლის სანახავად თავად რეჟისორი იყო ჩასული. მის სანახავად კი მთელი სოფელი გამოვიდა. სოფლის მცხოვრებლებმა უკვე იციან, რომელი ეპიზოდი იქნება მათ მიდამოებში გადაღებული. ჯერჯერობით რეჟისორი კმაყოფილია და დიდ იმედებს ამყარებს ფილმზე.

## ნატაშა როკისთვის

მთავარ მუსიკალურ კომპოზიციას ფილმში, რომელიც მოკრივე როკი ბალბოას წარმატებებს ეხება, შეასრულებს მომღერალი ნატაშა ბედინფიდი. როგორც ცნობილი გახდა, მომღერალი თავად სილვესტერ სტალონემ შეარჩია, რაც გადამღები ჯგუფისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

"სლაიმ სპეციალურად მოძებნა ნატაშა ერთ-ერთ საღამოზე და მოიწვია პროექტში. მან მოისმინა მისი სადებიუტო ალბომი და ძალიან მოეწონა მისი ხმა," - აღნიშნა ფილმის ერთ-ერთმა მონაწილემ. თავად მომღერალი ამტკიცებს, რომ ის შოკში იყო ამ წინადადებისგან, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი ლეგენდა მის სიმღერებს უსმენდა. ფილმი "როკი 6" საშობაოდ გამოვა ეკრანებზე.


## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხიზანიშვილის ქუჩაზე (აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალის მიმდებარე გამყოფი ზოლის ტერიტორიაზე) ბავშვთა გასართობი პარკის ტერიტორიის გამწვანებისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ხე-მცენარეთა დარგვა, მწვანე მოლის შექმნა დეფექტური აქტების შესაბამისად;

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 დღე. 3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 14 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 14 სექტემბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 20 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 10 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხიზანიშვილის ქუჩაზე (აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალის მიმდებარე გამყოფი ზოლის ტერიტორიაზე) ბავშვთა გასართობი პარკის სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: არსებული პროექტის შესაბამისად სარწყავი სისტემის მოწყობა.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 დღე. 3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 14 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 14 სექტემბრის 16.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 20 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 10 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## შპს "წყნეთის ცენტრალური ზონა" აცხადებს აუქციონს

**ადმინისტრაციული კორპუსის, მასთან დაკავშირებული ქონების და მასზე არსებული წესით დამაგრებული 10625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის რეალიზების მიზნით**

**ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
**მისამართი:** დაბა წყნეთი, დავით აღმაშენებლის ქ. N59.
**ობიექტის გაშენების ფართობი:** 2112 კვ.მ.
**ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 10625 კვ.მ.
**საწყისი გასაყიდი ფასი:** 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.
**ობიექტის დახასიათება:** ობიექტი წარმოადგენს ორსართულიან შენობას, აგებულია აგურითა და ბლოკით. ობიექტთან დაკავშირებული ქონება: მისასვლელი გზა, ელ.გაყვანილობა, გარე კანალიზაცია, თბოქსელი, სადრენაჟო ხაზი, წყალგამტარი ხაზი, რკ.ბეტონის საყრდენი კედელი, რკ.ბეტონის მიწისქვესა არხი, ავტოსადგომი, წყალგაყვანილობა.

**აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 30 აგვისტოს დღის 12 საათზე.**

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 12.08.06წ N32 (477), (ჭანტურიას ქ. N12, III სართული).

**შ.პ.ს. "წყნეთის ცენტრალური ზონა"**
**მისამართი:** დაბა წყნეთი, დავით აღმაშენებლის ქ. N59.
**საკონტაქტო ტელეფონი:** (877) 413090.



## შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს აუქციონებს

**საზოგადოების საწესდებო კაპიტალში რიცხული ობიექტების რეალიზების მიზნით, მათ შორის:**

**1. ქ. თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე საქვაბე (თბოქსელი) და მასზე არსებული წესით დამაგრებული 1463 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.**
- **მისამართი:** ქ. თბილისი, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის (კრწანისის ქ. N49) მიმდებარე ტერიტორია.
- **ობიექტის საერთო ფართობი:** 215,93 კვ.მ.
- **ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 1463 კვ.მ.
- **საწყისი გასაყიდი ფასი:** 440 000 (ოთხასორმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
- **ობიექტის დახასიათება:** ობიექტი აგებულია რკინა-ბეტონის ბლოკებით.

**2. ქ. თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე მეცხოველეობის ფერმის შენობა-ნაგებობები და მათზე არსებული წესით დამაგრებული 11556 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.**
- **ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
- **მისამართი:** ქ. თბილისი, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის (კრწანისის ქ. N49) მიმდებარე ტერიტორია.
- **ობიექტის საერთო ფართობი:** 886,47 კვ.მ.
- **ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 11 556 კვ.მ.
- **საწყისი გასაყიდი ფასი:** 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
- **ობიექტის დახასიათება:** ობიექტი შედგება სამი ძირითადი შენობა-ნაგებობისაგან.

**აუქციონები ჩატარდება 2006 წლის 30 აგვისტოს დღის 12 საათზე.**

აუქციონების თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 12.08.06წ N32 (477), (ჭანტურიას ქ. N12, III სართული).

**შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ. თბილისი,** ჭანტურიას ქ. N12, II სართული.
საკონტაქტო ტელეფონი: 99-01-48, 99-01-49, 899 35-55-35



**გაზეთ 24 საათის 18 აგვისტოს N185-ში გამოქვეყნებულ საუქციონო პირობებში, რომელიც შეეხებოდა შპს "საქართველოს რკინიგზის" ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი და/ან ამორტიზებული 2996 სატვირთო ვაგონის რეალიზაციას, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება**

**- განაცხადების მიღების ვადა** - 2006 წლის 18 აგვისტოდან 2006 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.
**- აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო** - 2006 წლის 1 სექტემბერი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.


TV5MONDE

## 16 აგვისტო

22 აგვისტო. **06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ასიზი 1300 წელი. დოკ. ფილმი. **07.30** გადაცემა: ცისფერი მზეთუნახავი. ვერტიკალური კუნძული. **08.30** ტელედილა. **10.30** მატიანე. სერიალი. **11.35** გადაცემა: გურმანი. **12.15** დიდი სპორტული დუელები. ციგურაობა. დოკ. ფილმი. დოკ. ფილმი. **14.30** ბიჭი და გოგო. სერიალი. **16.25** მოდელი თანამშრომელი. მხ ფილმი. რეჟისორი ჟაკ ოტმეზგინი. 2002. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** ჩვენც ხომ არ გაგვეჩინა ბავშვი? მხ.ფილმი. რეჟისორი კრისტიან სპიერო. 1997. **23.00** ალიასკა. ოქროს ციებ-ცხელება დოკ.ფილმი. **04.35** ჩემი ცხოვრება თეატრია. მერსედეს პალომინო. დოკ.ფილმი.

# ადამ სანდლერი



ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობი ადამ სანდლერი ისრაელ ბავშვებს 400 სათამაშო აპარატს Sony Play Station აჩუქებს. ამერიკელი კომიკოსის ამ ძვირფას საჩუქრებს მიიღებენ ის ბავშვები, რომელთა სახლებიც ომის დროს განადგურდა.

რამდენიმე დღის წინ კი ისრაელის საკონსულომ ლოს ანჯელესში ორი დღის განმავლობაში ორგანიზება გაუწია საღამოს, რომელშიც მონაწილეობდნენ ჰოლივუდის მსახიობები, რეჟისორები და პროდიუსერები. ამ შეხვედრაზე სტუმრებს აჩვენეს დოკუმენტური კადრები იმ საშინელებების შესახებ, რომელიც ისრაელის ქალაქებს ჰესბოლას და ჰამასის მხარემ მიაყენა. პირველ დღეს მონაწილეობა ორმოცამდე რეჟისორმა და პროდიუსერმა მიიღო, ხოლო მეორე დღეს შეხვედრა "სონის" სტუდიაში შედგა და ჰოლივუდის თხუთმეტამდე წამყვანი პროდიუსერი მონაწილეობდა, მათ შორის მსახიობი ადამ სანდლერი.

ისრაელის წარმომადგენლობა აღნიშნავს, რომ ჰოლივუდელებმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს ისრაელის მიმართ და სვამდნენ კითხვებს, თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს მსგავსი კონფლიქტები. საღამოს ბოლოს კი სანდლერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ბავშვებს გადასცემს სათამაშო აპარატურას, რომელთა ღირებულება 100 ათასი დოლარია. მან აგრეთვე მიმართა თხოვნით ისრაელის საკონსულოს დახმარებოდნენ ბავშვებისთვის საჩუქრების გადაცემაში. როგორც უკვე აღინიშნა, საჩუქრები უახლოეს დღეებში გადაეცემა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს და შემდეგ ბავშვებს.

# კოლუმბს ტირანიაში ადანაშაულებენ



ესპანელ ისტორიკოსთა ახალმა გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ ქრისტოფორ კოლუმბი ტირანი მმართველი იყო. სანტო-დომინგოს (პირველი ესპანური კოლონია ესპანიოლის, იგივე ჰაიტის კუნძულზე) ვიცე-მეფობის დროს იგი უმოწყალოდ აწამებდა თავის ქვეშევრდომებს. აღნიშნული ცნობები მკვლევარებმა აქამდე უცნობი მოწმეების ჩვენებებით მიიღეს, რომლებმაც 1500 წელს კოლუმბის წინააღმდეგ გამართულ სასამართლოზე მისცეს.

ახალი დოკუმენტების მიხედვით, ქრისტოფორ კოლუმბი და მისი ძმები ბართოლომეო და დიეგო, რომლებიც ერთად მართავდნენ სანტო-დომინგოს, იგნორირებდნენ კანონს, აწამებდნენ მონებს, რის შედეგადაც კოლონისტები შიმშილობდნენ. მეცნიერები თვლიან, რომ კოლუმბის დაპატიმრება სწორედ ამ ფაქტებმა გამოიწვია.

ესპანელ ისტორიკოსთა კრიტიკოსები კი მიანიშნებენ, რომ მოწმეები, რომლებიც კოლუმბის პროცესზე იძლეოდნენ ჩვენებებს, მეზღვაურის მოწინააღმდეგეები იყვნენ, ამიტომ ვარაუდობენ, რომ ჩვენებები შეიძლება არ შეესაბამებოდეს სიმართლეს.

2006 წელს შესაძლოა კოლუმბის ბიოგრაფიაში ახალი ფურცელი ჩაიწეროს, რომელიც მეზღვაურის ზუსტ დაბადების ადგილს შეეხება. რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი ამის დადგენას კოლუმბის შთამომავლების დნმ-ის ანალიზით გეგმავს.

# არქიტექტორ ჩერნიხოვის ნამუშევრები



რუსეთის ლიტერატურის და ხელოვნების სახელმწიფო არქივიდან იაკოვ ჩერნიხოვის დაახლოებით 2 ათასი ნამუშევარი დაიკარგა. მათგან მხოლოდ 300 ნამუშევრის დაბრუნება შეძლეს. "მას შემდეგ, რაც ჩვენ შემოწმება ჩავატარეთ არქივში, აღმოვაჩინეთ, რომ 2 ათასი ნამუშევარი გვაკლდა. გავარკვიეთ აგრეთვე, რომ დოკუმენტები ერთმანეთში იყო არეული, რა თქმა უნდა, სპეციალურად. ჩვენ ჯერ კიდევ ზუსტად არ ვიცით რამდენი ნამუშევარია გატანილი, ამის დაზუსტება ძალიან დიდ შრომას მოითხოვს." განაცხადა არქივის გენერალურმა დირექტომა ბორის ბაიარსკოვმა. აგრეთვე მან აღნიშნა, რომ "ის ადამიანები, ვინც სურათები აუქციონზე გაიტანა, კეთილშობილი მძარცველები არიან. მათ 300 ნაშრომი მაშინვე დააბრუნეს. ამჟამად კი, რაც მათ აუქციონზე გაყიდეს, თვითონვე ყიდულობენ და აბრუნებენ. მე ვფიქრობ, რომ დათქმულ დროს ჩვენ ამ სურათებს მივიღებთ." როგორც ცნობილი გახდა ეს ფაქტი მოხდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ერმიტაჟიდან ექსპონანტები დაიკარგა. დაკარგული სურათების რაოდენობა რამდენიმე მილიონ დოლარს აღწევს.

# WTC



ოლივერ სტოუნის დრამა WTC ამ დღეებში, საპრემიერო ფილმებს შორის რეიტინგით მესამე ადგილზე აღმოჩნდა, რაც მოულოდნელი იყო ფილმის შემქმნელთათვის. ოლივერ სტოუნის ეს ფილმი მეორეა, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებს ასახავს. პირველი ფილმი - "United 93" რეჟისორ პოლ გრინგრასს ეკუთვნის. მისი დებიუტი აპრილში შედგა და ავტორებს 31,5 მილიონი დოლარი მოუტანა.

რეიტინგით მეორე ადგილზე აღმოჩნდა საცეკვაო მელოდრამა Step Up, რომლის რეჟისორი ენ ფლეტჩერია და 21,1 მილიონი დოლარი მიიღო. პირველ ადგილზე კომედია Talladega Nights: The Ballad of Ricky Bobby აღმოჩნდა, მან 91,2 მილიონი დოლარი შეაგროვა.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39





## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



დავით კოზირიძის სვეტი

# ბისზე ჩატარებული გენერალური რეპეტიცია

საქართველოს ნაკრებმა 6:0 მოიგო. მთელი ის აჟიოტაჟი, რომელიც მატჩის წინ, მატჩის დროს და შემდგომ ტრიალებდა, საგაზეთო წერილებში, სატელევიზიო რეპორტაჟებში თუ თბილისის ქუჩებში გამოთქმული აზრები ამ ერთ მარტივ წინადადებაშია აკუმულირებული. არ აქვს მნიშვნელობა, ვისთან, როგორ, სად გაიმარჯვა ჩვენმა გუნდმა. მთავარია მოვიგეთ და მოვიგეთ 6:0. ესე იგი, როცა ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, შეგვიძლია.

ფარერებზე ბარე ორს არ მოუგია მასპინძლებთან ამ ანგარიშით, თანაც განახევრებული შემადგენლობით. ქართველებს ოფიციალურ თამაშებში ასე გემრიელად არასდროს გაუმარჯვიათ. მე არ მახსოვს, ჩვენი ნაკრების რომელიმე მწვრთნელს ასეთი ულაპარაკო უპირატესობისას ამდენი ეყვიროს და არც ქართველთა 90-წუთიანი შეტევებით ვართ განებივრებულნი.

ანუ, საქართველოს ნაკრებში უკვე მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები ტაქტიკურ, დისციპლინარულ, ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ ამბავში. ქართულ ფეხბურთს ძალიან მოუხდა გერმანული მართვის წესები. აქ მარტო ტოპმიოლერს არ ვგულისხმობ - რალფ მინგე ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა გუნდის წვრთნის პროცესში და ამიტომ ნურავის გაუკვირდება ლიტვაში, ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მისი არყოფნა.

ძალიან გამახარა იმან, რომ ტოპმიოლერმა შემტევ ფილოსოფიას არც საქართველოში ულალატა და უკვე პირველ ტაიმში მოგებული მატჩი ხუთი შემტევი ფეხბურთელით ჩაამთავრა. თუმცა ეს არაა უაზროდ წინ გავარდნა, რადგან მთლიანად შეცვლილი ქართული დაცვა მშვენივრად იდგა, მწვრთნელმა ეს იგრძნო და ზუსტი აქცენტები გააკეთა. დიდ სპეციალისტთა მთავარი კოზირიც ხომ ესაა - თამაშის შეგრძნება უშუალოდ პროცესში.

ამ მხრივ მან დიდი ფილი გამახსენა. პორტუგალიელთა ბრაზილიელმა მასწავლებელმა გამაოცა თამაშის კითხვის, თამაშში ყოფნის თავისებური მანერით. ფიზიკურად სკოლარი სათადარიგოთა სკამთან ტრიალებს, მაგრამ მისი გონება ბურთს დასდევს და დისტანციიდან გრძნობს მას. ამიტომ ამ მართლაც დიდი მწვრთნელის დირექტივები ყოველთვის დროული და ზუსტია. ამიტომ შეძლო მან შესუსტებული შემადგენლობით ინგლისელების გავლა.

როგორც ნაკრებზე გადაღებულ ფილმში "ერთი გუნდი" ჩანს, ტოპმიოლერმა უპირველესად გუნდის შიგნით არსებული მდგომარეობა შეისწავლა და მისი დალაგება დაიწყო. დაალაგა კიდეც. საქართველოს ნაკრები ერთ ოჯახად ჩამოყალიბდა, რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ უფროსი უმცროსს ჭკუას არიგებს და უმცროსი უსმენს, მის გამოცდილებას ისრუტავს. ადრე ასე არ იყო, რადგან ამას ნაკლებად ექცეოდა ყურადღება და ნაკრებიც საკანს უფრო ჰგავდა, ვიდრე ოჯახს.

ფარერებთან შეხვედრის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, კლაუს ტოპმიოლერმა ბიჭებს უთხრა, რომ თბილისში, პაპანაქება სიცხეში, ვარდების მოედანზე და ბათუმის ბულვარში, საშინელ წვიმაში, უამრავი ადამიანია შეკრებილი დიდ ეკრანებთან. ამით მან უპირველესად ის თქვა, რომ ერთგული გულშემატკივრების დაღალატება მისთვის, გერმანელისთვის, მიუღებელია და მითუმეტეს მიუღებელი უნდა იყოს ფეხბურთელებისთვის. ანუ არ შეიძლება წაგება. უფრო სწორად, მოგებისთვის ბოლომდე არდახარჯვა.

ესეც კიდევ ერთი პროფესიონალური შტრიხი, რომელიც ტოპმიოლერის ფსიქოლოგიურ განსწავლულობაზე მიგვითითებს. არსებობს ბანალური ფრაზა "კარგი მწვრთნელი კარგი ფსიქოლოგია" და ის იმიტომაა ბანალური, რომ სწორია.

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ბევრი მაგალითია იმისა, რომ ფსიქოლოგიური ასპექტი წმინდა საფეხბურთო ელემენტებს არ ჩამოუვარდება მნიშვნელობით. ოღონდ ამ მხრივ სიფრთხილეც, ზომიერებაც აუცილებელია, რათა არ მოგივიდეს ის, რაც ბრაზილიელებს შეემთხვათ 1950 წელს.

დაბოლოს, საქართველოს ნაკრების თავკაცზე ლაპარაკი დავამთავროთ იმით, რომ მიუხედავად ასეთი ლამაზი, რეკორდული და თავდაჯერებული გამარჯვებისა, თამაშის შემდეგ იგი მომენტალურად დაეშვა მიწაზე, გასახდელში ხუთწუთიანი მილოცვების შემდეგ ილაპარაკა შეცდომებზე და იმაზე, რომ წინ ურთულესი გამოცდაა - ფრანგებთან ბრძოლა.

საერთოდ, 16 აგვისტო სანიმუშო დღე იყო ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის: შესანიშნავად იმუშავა სამწვრთნელო შტაბმა, თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად გაიგო და კარგად შეასრულა ამ შტაბის დავალებები და კიდევ ერთი: ქართველმა ქომაგებმა არნახული ერთგულება გამოიჩინეს და დაიბადა მუხტი, რომელიც ჩვენს გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა. ნურავის ეგონება, რომ ამ ემოციებმა, ამ ზეიმმა უკვალოდ ჩაიარა. საქართველოს ნაკრების წევრებმა იციან, რა ხდებოდა თბილისის და ბათუმის ქუჩებში იმ საღამოს და ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებთან შეხვედრის წინ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფრანგულ დელეგაციას, შეიძლება, ორი ლეგენდა ჩამოჰყვეს: მიშელ პლატინი და ზინედინ ზიდანი.

*მომავალ სამშაბათამდე*

# ჯაბა კანკავა: "ფრანგების წინააღმდეგ მოსაგებად გამოვალ"

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ფარერების წინააღმდეგ მაღალ დონეზე ჩატარებული შეხვედრის შემდეგ ქართველი "ხუთჯვაროსანი" ჯაბა კანკავა თავის კლუბში დაბრუნდა და კიევის "არსენალის" მორიგ წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. დედაქალაქური კლუბი ზაპოროჟიეში ადგილობრივ "მეტალურგს" დაუპირისპირდა და მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხა. მიუხედავად იმისა, რომ ჯაბა კანკავა ამპლუით საყრდენი ნახევარმცველია და მის პირდაპირ მოვალეობაში გოლების გატანა არ შედის, ეს ერთადერთი გოლი სწორედ მის ანგარიშზეა. აღსანიშნავია ისიც, რომ კანკავა კიევში ზაპოროჟიელებთან მატჩამდე ერთი დღით ადრე დაბრუნდა და ჯერ თამაშით, შემდეგ მომქანცველი მგზავრობით საკმაოდ გადაღლილი იყო. ამის მიუხედავად, "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა, ალექსანდრ ზავაროვმა თავისი გუნდის ლიდერს დასვენების საშუალება ვერ მისცა და არც შემცდარა - გამარჯვების გოლი სწორედ ქართველმა ფეხბურთელმა გაიტანა. შედეგად, კიევის "არსენალი" 4 ტურის შემდეგ 10 ქულით დონეცკის "შახტარტან" ერთად მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებს, პირველ პოზიციაზე კი კიევის "დინამოა", რომელიც ჯერჯერობით უდანაკარგოდ, 12 ქულით ლიდერობს. თუ "დინამოს" წამყვანი პოზიცია მოულოდნელი არავისთვის არის, "არსენალის" ყოფნა საპრიზო სამეულში ნამდვილი სიურპრიზია ამ კლუბის მესვეურთათვის. გუნდი გასულ სეზონში უმაღლესი ლიგიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა, წელს კი სტაბილურად და შედეგიანად ასპარეზობს. "24 საათი" ტელეფონით დაუკავშირდა ჯაბა კანკავას.

- ზაპოროჟიესთან ძალზე მძიმე თამაში გვქონდა. 90 წუთის განმავლობაში ბრძოლა არ შეწყვეტილა. მატჩის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა და მოხარული ვარ, რომ ეს გოლი ჩვენ გავიტანეთ. ამის შემდეგაც გვქონდა თავის გამოჩენის შესაძლებლობა - ჯაკობიამ სოლორეიდი განახორციელა, მაგრამ მოწინააღმდეგის მეკარემ მისი დარტყმის მოგერიება შეძლო. მატჩის მიწურულს "მეტალურგი" ძალზე გააქტიურდა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა ჩვენს კართან, მაგრამ ამ მომენტთაგან არც ერთი იყო ისეთი, ასპროცენტიანს რომ ეძახიან. ანგარიში შევინარჩუნეთ და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ, რაც ძალზე გვახარებს.

**- რა ვითარებაში გაიტანე გოლი?**

- მოედნის ცენტრში რამდენიმე მოკლე პასი გაკეთდა, რის შემდეგაც საჯარიმო მოედნის მისადგომებთან პასი მივიღე. ბურთი "გავისწორე" და დავარტყი - საკმაოდ ლამაზი გოლი გამოვიდა - ბურთი დიაგონალური ტრაექტორიით გაფრინდა და ხარიხის ქვეშ შევარდა. თუმცა, ამ გოლზე გაცილებით მეტად ის გამიხარდა, რომ გავიმარჯვეთ. გოლის გატანა სასიამოვნოა, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი გუნდური ინტერესებია.

**- ჯაკობიამ როგორ ითამაშა?**

- არა მხოლოდ ამ შეხვედრაში, ჯაკობია კიევის "არსენალში" ერთ-ერთი საუკეთესოა. წინა ტურის შემდეგ იგი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. ზავაროვი მას დიდ ნდობას უცხადებს და პირადად მე მოხარული ვარ, რომ ჯაკობიას გვერდზე ვთამაშობ. ფარერებზე ყოფნისას ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, კლაუს ტოპმიოლერმა დაწვრილებით გამომკითხა მის შესახებ.

**- "არსენალმა" გასულ სეზონში გაჭირვებით შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. ელოდით ასეთ სტარტს?**

- ნამდვილად არ ველოდი. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ გუნდი აშკარად გაძლიერდა, რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი დავიმატეთ, მათ შორის - ზაკარლიუკა და ჯაკობია. მიზინთან ერთად ეს დუეტი ბრწყინვალე შემტევ ტრიოს ქმნის და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ასეთ მოწინავე პოზიციებზე ვართ. მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელიც გვყავს, რომელმაც მოკლე ხანში შეძლო ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება. აქვე ვიტყვი, რომ მორიგ ტურში კიდევ ერთი სერიოზული გამოცდის ჩაბარება გვიწევს - გასვლითი შეხვედრა გვაქვს დნეპროპეტროვსკის "დნეპრთან".

**- შენ ფარერების წინააღმდეგ ოთხმოცდაათი წუთი ითამაშე. რამდენად კმაყოფილი ხარ საკუთარი თავით?**

- უმნიშვნელოვანესი თამაში მოვიგეთ. რა თქმა უნდა, მეტოქე არ იყო ძლიერი და დაგეგმილი სამი ქულა მოვიპოვეთ, მაგრამ აქ სხვა მომენტია გამოსარჩევი. ეროვნულ ნაკრებში დღეს აბსოლუტურად სხვა ვითარებაა. ძალზე მეგობრული, გუნდური სულისკვეთება ტრიალებს, უაღრესად მობილიზებულები ვართ და მიუხედავად იმისა, რომ არცთუ უმაღლესი კლასის მეტოქესთან გვიწევდა თამაში, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი მოტივირებულები ვიყავით. რაც მთავარია, მართლა ერთი გუნდი ვართ - დაწყებული ფედერაციის პრეზიდენტით, დამთავრებული თითოეული ფეხბურთელით. ძალიან ბედნიერები ვართ იმითაც, რომ გულშემატკივრობის ასეთი ბუმია. ფარერებზე ყოფნისას ეროვნულ ნაკრებზე გადაღებული ფილმიც ვნახეთ და ვიცით, როგორ გველიან თბილისში. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გულშემატკივრები არ დავაღალატოთ.

**- საფრანგეთის ნაკრებთან მატჩის წინ ამ გუნდზე რას იტყვი?**

- მე რა უნდა ვთქვა საფრანგეთის ნაკრებზე? ყველამ კარგად იცის ფრანგების ძალა. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, რომელსაც მუნდიალზე თამაში ხარ წაუგია და მხოლოდ პენალტების სერიაში უიღბლობის გამო ვერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. თუმცა, დამიჯერეთ, ამას იმიტომ არ ვიძახი, რომ ფრანგების რაიმე შიში ან რიდი გვქონდეს. საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშიც კი სასიხარულოა. პირადად მე, თუ მომეცა ამის შანსი და ფრანგების წინააღმდეგ ვითამაშე, მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გამოვალ. ისე არ გამიგოთ, თითქოს ფრანგების და იტალიელების დამარცხების პირობას ვიძლეოდე. მე ჩემი თანაგუნდელების მჯერა. მართლა უმაღლესი კლასის მწვრთნელი გვყავს, რომელმაც გვიჩვენა, თუ ერთად რისი გაკეთება შეგვიძლია. ადრე ამას ნამდვილად ვერ ვიტყოდი, დღეს კი სრული პასუხისმგებლობით განვაცხადებ - საქართველოს ნაკრები ყველა შეხვედრაში მოსაგებად ითამაშებს.

**- იმედი გაქვს, რომ ფრანგებს დავამარცხებთ?**

- იმედი მაქვს, რომ არ დავმარცხდებით და თუ მეტს შევძლებთ, ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება.

# "ჩვენ კიდევ ვიომებთ"

საქართველოს ნაკრებისა და ნალჩიკის "სპარტაკის" ნახევარმცველი გოგიტა გოგუა რუსეთის ჩემპიონატის ნამდვილი ვარსკვლავია, არადა რუსულ პრემიერლიგაში ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებიც კი თამაშობენ.

ნალჩიკური გუნდი ჩემპიონატის მთავარ აღმოჩენად იქცა. კარგა ხნის განმავლობაში გოგუა და მისი თანაგუნდელები ჩემპიონატის სატურნირო ცხრილსაც კი ედგნენ სათავეში. რუსი სპეციალისტების აზრით, "სპარტაკის" წარმატება გარკვეულწილად შემთხვევითიცაა, ვინაიდან ამ გუნდში გამორჩეული ვარსკვლავები არ არიან. როდესაც ტარხანოვსა და რომანცევს ჰკითხეს, თუ ვინ იმსახურებს "სპარტაკის" ფეხბურთელებიდან რუსეთის ნაკრებში თამაშს, მათ დაუფიქრებლად უპასუხეს - გოგიტა გოგუა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, იგი უკვე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელიაო.

გასულ უქმეებზე პროვინციული "სპარტაკი" მოსკოვს სტუმრობდა და "ლუჟნიკების" სტადიონზე რუსული ფეხბურთის ლიდერ ცსკა-ს დაუპირისპირდა, რომლის შემადგენლობაშიც ბრაზილიის ნაკრების სამი ფეხბურთელი თამაშობს. აღსანიშნავია, რომ რუსული მედიის ინფორმაციით, სეზონის დასრულების შემდეგ გოგიტა შესაძლოა სწორედ არმიულ კლუბში გადავიდეს, ვინაიდან ქართველს გაზაევმა დაადგა თვალი.

რაც შეეხება თავად ამ შეხვედრას. ნალიჩკელები 70 წუთის



*გოგუასთვის ავტორიტეტები არ არსებობს.*

განმავლობაში იგებდნენ, მაგრამ მატჩის მიწურულს ორი გოლი გაუშვეს და მოსკოვში სამი ქულაც დატოვეს. შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან ნალჩიკური გუნდის ქართველმა ლიდერმა გოგიტა გოგუამ ისაუბრა.

- მხიარული მატჩი გამოდგა, ვერაფერს იტყვი. კარგად დავიწყეთ, სამწუხაროდ ყველაფერი ძალიან ცუდად დასრულდა. ჩემი აზრით, დღეს "სპარტაკმა" ფეხბურთი მხოლოდ 70 წუთის განმავლობაში ითამაშა. თანაც მომენტები ვერ გამოვიყენეთ, სერიოგა სერდიუკოვს ანგარიში აუცილებლად უნდა გაეთანაბრებინა, ასპროცენტიანი მომენტი გაუშვა ხელიდან.

**- მეორე ტაიმში თქვენც შეგეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ...**

- კი, მართალია. სახიფათო კონტრშეტევა განვახორციელეთ, მარცხენა ფლანგიდან გავედი დასარტყმელ პოზიციაზე და ფეხი რომ არ დამსრიალებოდა, აუცილებლად გავიტანდი. "ლუჟნიკებზე" მეორედ ვითამაშეთ და ამ სტადიონის ხელოვნურ საფარს ჯერ ვერ შევეჩვიე.

**- ისე, ახალი საფარი, როგორ მოგეწონათ?**

- ძველს, რა თქმა უნდა, სჯობს, მაგრამ წვიმისას სინთეტიკურ მინდორზე თამაში რთულია, ფეხი გიცურავს.

**- იმის თქმა გსურთ, რომ ცსკა-ს წვიმა დაეხმარა?**

- ასეც შეიძლება ითქვას. ჩვენ ხომ პირველ ტაიმში გავიტანეთ, მაშინ მინდორი ჯერ მშრალი იყო. ცსკამ კი თამაში მას შემდეგ მოიგო, რაც კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

**- იგრძენით თუ არა, რომ თქვენს წინააღმდეგ ბრაზილიის ნაკრების სამი ფეხბურთელი თამაშობდა?**

- როდესაც მინდორზე გავიდივარ, ჩემთვის ავტორიტეტები არ არსებობს. თანაც ჩვენს გუნდშიც თამაშობენ ნაკრების ფეხბურთელები, თუნდაც მე, ასე რომ განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ არმიულ კლუბში ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები იყვნენ.

**- რა მიზნები აქვს გუნდს ჩემპიონატის ბოლოსთვის?**

- გვსურს მედლებისთვის ვიბრძოლოთ. დარწმუნებული ვარ, ამ მარცხის გამო ჩვენი მიზნები არ შეიცვლება. ჩვენ კიდევ ვიომებთ.

# არგენტინა ფავორიტის სტატუსს ამართლებს

იაპონიაში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში, გუშინ გამართული ექვსი მატჩიდან განსაკუთრებულ ყურადღებას გერმანულ-ესპანური დაპირისპირება იწვევდა. დირკ ნოვიცკი პოლ გაზოლის წინააღმდეგ. ასე შეიძლება დავასათაუროთ ეს დაპირისპირება. ამერიკაში მოთამაშე ორი ვარსკვლავის პაექრობა ესპანელის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. მართალია, იმის თქმა, რომ თამაში გაზოლმა მოიგო, სწორი არაა, მაგრამ ის მაინც ფაქტია, რომ ესპანელმა გიგანტმა გარკვეულწილად მაინც გამოთიშა თამაშიდან ნოვიცკი, რამაც გაზოლის თანაგუნდელებს ხელ-ფეხი გაუხსნა. ბრწყინვალედ ითამაშა კალდერონმა და სწორედ მისი წყალობით იმარჯვეს ესპანელებმა.

იოლად იმარჯვა ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა არგენტინის ნაკრებმაც.მსოფლიოს ჩემპიონებმა ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგეს და ფაქტობრივად უკვე გაინაღდეს შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება. აღსანიშნავია, რომ არგენტინელებს თავისი ლიდერის მანუ ჯინობილის გარჯაც კი არ დასჭირვებიათ ვენესუელის ნაკრების დასამარცხებლად. ჯინობილიმ მოედანზე მხოლოდ 16 წუთი დაჰყო და თვის გუნდს სულ რაღაც 5 ქულა შეაწია.

გუშინვე იმარჯვა საფრანგეთის ნაკრებმა, რომელსაც სამი თამაშიდან ორი მოგება აქვს და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად კიდევ ბრძოლა მოუწევს.



*ანდრეას ნოჩიონის მორიგი ორი ქულა.*

| | |
|---|---|
| **არგენტინა - ვენესუელა** | 96:54 |
| **ანგოლა - ახალი ზელანდია** | 95:73 |
| **სერბეთი - ლიბანი** | 104:57 |
| **გერმანია - ესპანეთი** | 71:92 |
| **საფრანგეთი - ნიგერია** | 64:53 |
| **იაპონია - პანამა** | 78:61 |

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK Piti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე ჩასატარებელ სამუშაოებზე:

**ლოტიN1**

N6 ნავმისადგომზე მისასვლელი რკინიგზის ხაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე.

2. ძირითადი ჩასატარებელი სამუშაოების სახეობა:
- რკინიგზის ხაზის დემონტაჟი P-50 ტიპის რელსებით რკ. ბეტონის განძელებზე 355-გრძ.მ
- გრუნტის მოჭრა ხელით რკინიგზის ლიანდაგების ქვეშ სისქით 20 სმ-მდე-231-მ3;
- ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ა/თვითმცლელზე 0,25მ3 ჩამჩიანი ექსკავატორით 309-მ3;
- ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირება 525 ტნ;
- რკინიგზის ხაზების დაგება ცალკეული ელემენტებით P-65 ტიპის რელსებით რკ. ბეტონის მანძილზე ეპიურით 1600 ცალი მანძილი 1კმ-ზე, რელსის სიგრძე 12,5 მ - 355 გრძ.მ;
- რკინიგზის ხაზების ბალასტირება ღორღით ხელის ვიბრატორის გამოყენებით - 350 მ3;
- რკინიგზის ხაზის გასწორება რკ. ბეტონის განძელებზე ექსპლუატაციაში ჩაბარების წინ - 355 გრძ.მ
- მონილით. რკ/ბეტონის არხის მოწყობა მ-200-46,6 მ3;
- ა/ც მილების ჩაწყობა - 20 გ/მ.

**3.** სამუშაოს წარმოების სასურველი ვადაა: 2,0 თვე

**ლოტი N2**

N4, N5 და N6 ნავმისადგომის რკინიგზის ხაზების სარეკონსტრუქციო სამუშაოები

ძირითადი ჩასატარებელი სამუშაოების სახეობა:
- რკინიგზის ხაზის დემონტაჟი P-50 ტიპის რელსებით რკ. ბეტონის განძელებზე 990-გრძ.მ
- გრუნტის მოჭრა ხელით რკინიგზის ლიანდაგების ქვეშ სისქით 30 სმ-მდე-891-მ3;
- ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ა/თვითმცლელზე 0,25მ3 ჩამჩიანი ექსკავატორით 891-მ3;
- ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირება 1470 ტნ;
- რკინიგზის ხაზების დაგება ცალკეული ელემენტებით P-65 ტიპის რელსებით რკ. ბეტონის მანძილზე ეპიურით 1600 ცალი მანძილი 1კმ-ზე, რელსის სიგრძე 12,5 მ - 990 გრძ.მ;
- რკინიგზის ხაზების ბალასტირება ღორღით ხელის ვიბრატორის გამოყენებით - 594 მ3;
- რკინიგზის ხაზის გასწორება რკ. ბეტონის განძელებზე ექსპლუატაციაში ჩაბარების წინ - 990 გრძ.მ

**3.** სამუშაოს წარმოების სასურველი ვადაა: 3,5 თვე

4. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა", თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია

4.1 წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

**5.1 იურდიული პირებისათვის;**

5.1.1 ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.1.2 ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.1.3 ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

**5.2 ფიზიკური პირისათვის:**

5.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

5.2.2 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

5.3.1. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი)

5.3.2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

5.3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება

| № | მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი ტიპი, მარკა და ასაკი. | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | საკუთარი, იჯარით აღებით. |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2. | | | | | |

5.3.4. სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მექანიზმების ჩამონათვალი.

5.3.5. ტენდერში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| № | თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი. გამოცდილება. | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| 1.<br>2. | | | | |

6. ტენდერში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ტენდრში მონაწილეობის მსურველ პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) პრეტენდენტის მოთხოვნისამებრ განხორციელდება 2006 წლის 22 აგვისტოს 9.00 საათიდან 2006 წლის 11 სექტემბრის 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. შესყიდვების სამსახური საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

9. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 12 სექტემბრის 17.00 საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

14. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

15. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48, ტექნიკური მონაცემების შესახებ თემურ თოფურიასგან შპს "ფ.ს.ნ."-ს რეკონსტრუქცია განვითარების სამსახურის უფროსი ტელ: 8(99) 53-62-24.

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK Piti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს ნავსადგურის შიდა საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია უბანი N2 მე II საწ. რაიონის მისასვლელი გზა (II ეტაპი პკ-0 პკ2+57) შესყიდვაზე.

2. ძირითადი ჩასატარებელი სამუშაოების სახეობა:
- ასაწყობი რკინა-ბეტონის ფილების დემონტაჟი - 280 $м^3$;
- მე-III კატეგორიის გრუნტის მოჭრა ბულდოზერით - 180 $м^3$;
- გრუნტის ტრანსპორტირება 10 კმ-ზე - 324 ტნ;
- დემონტირებული რკ/ბეტონიეს ფილების ტრანსპორტირება 5კმ-ზე - 616 ტნ;
- ღორღის საფუძვლის მოწყობა სისქ. 15 სმ - 1800 $м^2$;
- მონოლითური რკ/ბეტონის საფარის მოწყობა სისქ. 20 სმ ბეტონი მ-300 - 1800მ2;
- გზის გვერდების გამაგრება ქვიშა ხრეშოვანი ნარევით სისქ. 15 სმ - 375 მ2;
- პლასტმასის მილის ჩაწყობა გზის საფარის ქვეშ ქ 150 მმ-18 გ/მ.

**3.** სამუშაოს წარმოების სასურველი ვადაა: 2 თვე

4. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა", თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია

4.1 წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

**5.1 იურდიული პირებისათვის;**

5.1.1 ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.1.2 ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.1.3 ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

**5.2 ფიზიკური პირისათვის:**

5.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

5.2.2 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

5.3.1. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი)

5.3.2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

5.3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება

| № | მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი ტიპი, მარკა და ასაკი. | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | საკუთარი, იჯარით აღებით. |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2<br>. | | | | | |

5.3.4. სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მექანიზმების ჩამონათვალი.

5.3.5. ტენდერში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| № | თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი. გამოცდილება. | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| 1.<br>2. | | | | |

6. ტენდერში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ტენდრში მონაწილეობის მსურველ პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) პრეტენდენტის მოთხოვნისამებრ განხორციელდება 2006 წლის 21 აგვისტოს 900 საათიდან 2006 წლის 11 სექტემბრის 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

9. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 12 სექტემბრის 17.00 საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

14. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

15. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48, ტექნიკური მონაცემების შესახებ თემურ თოფურიასგან შპს "ფ.ს.ნ."-ს რეკონსტრუქცია განვითარების სამსახურის უფროსი ტელ: 8(99) 53-62-24.

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 15 აგვისტოს N01-01/182 ბრძანება

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე**

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, ამავე კანონის 34-ე მუხლის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" და "შ" ქვეპუნქტებისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათაA ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2006 წლის 15 აგვისტოს წარდგინების საუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის წესი (დანართი 1).

2. ბრძანება აღსრულედეს დაუყოვნებლივ.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში "თბილსის უნივერსიტეტი" და განთავსდეს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

**გიორგი ხუბუა**
**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი**
**პროფესორი**

**დანართი N1**

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება უნდა მოხდეს ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსი ცხადდება საბაზისო სწავლების, სპეციალიზაციისა და სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული საგნების წაკითხვაზე. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს: ავტობიოგრაფიული მონაცემები, შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც, კანდიდატის აზრით, საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევის უნარს და სილაბუსი. სილაბუსში მითითებულ უნდა იქნეს:
- საგნის სახელწოდება;
- სწავლების მიზანი;
- კურსის მოცულობა;
- მეთოდი;
- კრედიტების მინიჭების პირობა;
- ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
- საგნის გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით.

3. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება და დისციპლინის სწავლების კონცეფციის წარმოდგენა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად არ არის აუცილებელი სილაბუსის წარმოდგენა.

4. კონკურსი ცხადდება სოციალურ და პულიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდეგი მიმართულებების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
- ჟურნალისტიკის მიმართულებით - ასისტენტ-პროფესორის არაუმეტეს 2 საშტატო ერთეულისა;
- საერთაშორსიო ურთიერთობების მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 1, ხოლო ასისტენტ-პროფესორის არაუმეტეს 2 საშტატო ერთეულისა.
- პოლიტოლოგიის მიმართულებით - სრული პროფესორის არაუმეტეს 1 საშტატო ერთეულისა.

5. საკონკურსო კომისია აკადემიურ თანამდებობასთან კონკურსანტის შესაბამისობის თაობაზე ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლისათვის რეკომენდაციების შემუშავებისას ითვალისწინებს:
- აკადემიურ ხარისხს;
- პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილებას;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, რეფერირებად Gჟურნალებში გამოქვეუნებულ სტატიებს;
- სამეცნიერო კონფერენცვიებში მონაწილეობას.

6. სრული პროფსორის ანაზღაურებაა არანაკლებ 700, ასოცირებული პროფესორის არანაკლებ 560, ხოლო ასისტენტ-პროფესორისა არანაკლებ 420 ლარისა.

7. სრული პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით, ხოლო ასისტენტ-პროფესორი - 2 წლის ვადით.

8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში კანდიდატმა უნდა განაცხადოს წერილობითი თანხმობა, რომ უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადში ის იქნება დაფიქსირებული, როგორც ამ უნივერსიტეტის პროფესორი.

8. კონკურსი ცხადდება 2006 წლის 15 აგვისტოს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 15 სექტემბერი, საბუთების მიღება იწარმოებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში - ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N1 ტელ. 29 05 94

9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 15 ოქტომბერს.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.4(0.67) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

**2.** ხელშეკრულების შესრულების ვადა - 2006-2007წწ.

სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის), 2006 წლის 22 აგვისტოდან მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 11 სექტემბრის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 12 სექტემბრის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული და ფიზიკური სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**გ)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგელზე მობილიზაციისათვის.

**--** ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**--** ცნობას, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები)

ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, ერთ-ერთ წელს მაინც, შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის სამუშაოები საერთო ღირებულებით 1.5 მლნ. ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**--** ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ ანალოგიური სამუშაოების შესრულების 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

**--** ცნობას 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**11.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

**13.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სამედიცინო ობიექტებისათვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი 1 - ვ. სანიკიძის სახელობის საქართველოს ომის ვეტერანთა კლინიკურ ჰოსპიტალში სარემონტო სამუშაოები;

სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 10 ნოემბერი.

ლოტი 2 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის N2 კლინიკაში მე-5 სართულის სარემონტო სამუშაოები;

სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 10 ნოემბერი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 12 სექტემბერს 10:00-დან 11:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ სამუშაოებზე(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| № | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>. | | | | |

გ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 22 აგვისტოდან 11 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავლ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სივრცული ინფორმაციის ცენტრის აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე

- 1 **ვაკანსია - დირექტორის თანაშემწე**

აუცილებელი კვალიფიკაცია:

- განათლება - უმაღლესი იურიდიული;
- სამაშაო გამოცდილება - 1 წელი;
- ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
- კომპიუტერული უნარჩვევების ცოდნა;

სამუშაოს დახასიათება:

- ბრძანებებისა და წერილების მომზადება;
- თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;

სახელფასო განაკვეთი 300 - 400 ლარი

- 1 **ვაკანსია - მთავარი ბუღალტერი (საფინანსო სააღრიცხვო სამსახურის უფროსი)**

აუცილებელი კვალიფიკაცია:

- განათლება - უმაღლესი ეკონომიური;
- სამუშაო გამოცდილება - 2 წელი (პროფესიული ნიშნით);
- ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
- კომპიუტერული უნარჩვევების ცოდნა;
- თანამედროვე ბუღალტრული პროგრამების ცოდნა;

სამუშაოს დახასიათება:

- ეკონომიური და ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია და წარმართვა;
- საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის ანალიზი, ბალანსის, ანგარიშების მომზადება;
- ცენტრის ბიუჯეტისა და ხარჯთა ნუსხის პროექტების შემუშავება; ძირითადი საშუალებების მართვა;
- ფულადი სახსრებისა და საფინანსო - მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზება;
- კვარტალური და წლიური საფინანსო და სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და მათი წარდგენა სამინისტროში;
- სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზაბა;
- სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;

სახელფასო განაკვეთი 500-700 ლარი

**- 1 ვაკანსია - გეოლოგი (სპეციალისტი)**

კვალიფიკაცია და გამოცდილება:

- განათლება - გეოლოგიური
- სამუშაო გამოცდილება 2 წელი (პროფესიული ნიშნით და ველზე).
- კომპიუტერული უნარჩვევების ცოდნა;
- რუსული ენის ცოდნა.

სამუშაოს დახასიათება:

- მოსალოდნელი განაშენიანების ფართზე წიაღისეული საბადოს არსებობა-არარსებობის შესახებ ინფორმაციის მომზადება;
- საქართველოს წიაღისეული საბადოების და გამოვლინებების შესახებ მონაცემების მომზადება;

სახელფასო განაკვეთი - ხელშეკრულების შესაბამისად.

**- 10 ვაკანსია - სტაჟიორი**

კვალიფიკაცია და გამოცდილება:

- განათლება - უმაღლესი, გეოლოგიური, კარტოგრაფიული, გეოდეზიური;
- კომპიუტერული უნარჩვევების ცოდნა;
- რუსული ენის ცოდნა;

სამუშაოს დახასიათება:

- საქართველოს წიაღისეული საბადოების და გამოვლინებების შესახებ მონაცემების მომზადება;
- (GIS) -სისტემის ოპერირება:
- მოსალოდნელი განაშენიანების ფართზე წიაღისეული საბადოს არსებობა-არარსებობის შესახებ ინფორმაციის მომზადება;
- JPS - ით ზუსტი კორდინატების აღება და 1:25 000 მასშტაბის ტოპ. რუკის დამზადება.
- სტაჟიორები გაივლიან 2 თვიან მომზადების კურსს, რის შემდეგ წარჩინებულნი აყვანილნი იქნებიან ხელშეკრულებით.

წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა :

- დახასიათება (CV);
- დიპლომის ასლი;
- 2 ც ფოტო სურათი;

-სტაჟიორებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ნიშნების ფურცელი;

დოკუმენტაცია მიიღება 20 სექტემბრამდე, ქ. თბილისი მოსაშვილის ქ. N 24, მე-2 სართული საჯარო სამართლის იურიდიული პირი "სივრცული ინფორმაციის ცეტრის მისაღებში".

# განცხადება
# შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს ტენდერს სამზარეულოს აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით

**დაფინანსების წყარო:** საწარმოს სახსრები.

**შესყიდვის ობიექტი.**
34,72 კვ.მ. (5,6X6,2) ფართობის სამზარეულოს სრული აღჭურვილობა გაანგარიშებული 30 კაცზე (წინადადებები კომპლექტაციის თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს პრეტენდენტების მიერ).

შესასყიდი საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან 20 დღის განმავლობაში.
ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
სამუშაოთა ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.
სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის (200 ლარი) გადახდის შემდგომ, მისამართზე: შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12. II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, 11 სექტემბრის 18 საათამდე.

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

ს.ს. ბანკი "რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101757, ა/ა N3408022974, საიდენტიფიკაციო კოდი 205037574. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი)

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეებმა ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით). საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12. II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.
საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიიღება 11 სექტემბრიდან 16 სექტემბრის 16.00 საათამდე:
სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს.
პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 16 სექტემბრის 16.30 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის**:
1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

**ფიზიკური პირებისათვის**:
1. ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა. (ცნობა საგადასახადოდან რეგისტრაციის შესახებ);
4. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;

ტენდერში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ბაზარზე მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.
პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ ან რამდენიმე სატენდერო წინადადებას დალუქული კონვერტით. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია**
სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.
დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12. II სართული, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა".
საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 99-01-48, 99-01-49, 8(99) 35-55-35

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ზეღდულეთის თემის გამგეობა (მის. სოფ. ზეღდულეთი, ზეღდულეთის თემის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა) აცხადებს ტენდერს ზეღდულეთის საკრებულოს ტერიტორიაზე ზეღდულეთი-ბერშუეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:
ა) ზეღდულეთი-ბერშუეთის საავტომობილო გზის კმ 2+650-დან კმ 4+422-მდე, მონაკვეთის რეაბილიტაცია;
ბ) სამუშაოს შესრულების ადგილია სოფელი ზეღდულეთი.
გ) სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 30 ოქტომბრამდე.
**2.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 11 სექტემბერი 1600 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. ზეღდულეთი, ზეღდულეთის თემის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ზეღდულეთის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.
**3.** საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
**იურიდიული პირისათვის:**
**ა)** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
**ბ)** ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან\და ლიკვიდაცია;
**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
**ე)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან\და სანაციის საქმე.
**ფიზიკური პირისათვის:**
**ა)** მეწარმის რეგისტრაციის მოწმობა;
**ბ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
**დ)** ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**
**ა)** ინფორმაციას, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.
**ბ)** ინფორმაციას, უკანასნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ;
**4.** განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, უნდა ახლდეს მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.
**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და ვერ დასახელდება პრეტენდენტად თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
**6.** ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.
**7.** პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადება, წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ბეჭედდასმულ და დალუქულ კონვერტში, წარმომდგენის ხელმოწერის აღნიშვნით.
**8.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის (საქართველოს ეროვნული ბანკი ანგ.N200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300434040,) შემდეგ, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში შეეძლებათ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. ზეღდულეთი, გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ზეღდულეთის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი როინ ზაუტაშვილი, ქეთევან კანაშვილი.
**9**. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ზეღდულეთის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე: გორის რაიონის სოფ, ზეღდულეთი, გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. გარდაბნის რაიონის გამგეობა, მდებარე ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №73, ინდ. 1300, აცხადებს ტენდერს სოფელ სართიჭალაში სპორტდარბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი.
3. შესყიდვის ობიექტი - სართიჭალაში სპორტდარბაზის მშენებლობა.
4. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვის განმავლობაში.
5. მიწოდების ადგილი - გარდაბნის რაიონი, სოფ. სართიჭალა.
6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და წინადადებები დალუქულ პაკეტში ერთი ორიგინალის სახით ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 11 სექტემბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე, ქ, გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73, ინდ. 1300.
7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
7.1. იურიდიული პირისთვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურიდან ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
გ) ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შსს).
7.2. ფიზიკური პირებისთვის:
ა) შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
ბ) ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შსს);
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.
7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ საქართველოს ბიუჯეტისადმი არ გააჩნია დავალიანება;
დ) ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
ე) ინფორმაცია შესაბამისი მანქანა-დანადგარების შესახებ;
ვ) ინფორმაცია თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ;
ზ) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში;
თ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ) შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით.
7.4. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.
7.5. წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 11 სექტემბერს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. გარდაბანი დ. აღმაშენებლის ქ. №73. გარდაბნის რაიონის გამგეობის შენობის III სართულზე სააქტო დარბაზში.
8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციას და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. გადახდა განხორციელდება შემდეგ ანგარიშზე: მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკი (სნ 220101107), ანგარიში 200122900, სახაზინო კოდი 300114040). გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი სოფელ სართიჭალაში სპორტდარბაზის მშენებლობისათვის.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №73. საკონტაქტო ტელეფონები: 8(272) 5-20-76, 8(272) 5-32-30.

სატენდერო კომისია

# შესწორება სატენდერო განცხადებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ზანდუკელის ქ.N16-ში უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შენობის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების (საქვაბის მიშენებით) სახელმწიფო შესყიდვაზე 2006 წლის 21 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" შეტანილ იქნას შესწორება: **კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების განხორციელების ვადებია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 30 აპრილამდე.**

**სატენდერო კომისია.**

# ფასთა ღია გამოკითხვა

შ.პ.ს. "ყაზტრანსგაზ-თბილისი", რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი აირის განაწილებას ქ. თბილისის მასშტაბით, 2006 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში აცხადებს კონკურსს შემდეგი მასალებისა და მოწყობილობების შესაძენად:
**ფოლადის ურდული:**

| | |
|---|---|
| d50 მმ | 50 ცალი |
| d80 მმ | 50 ცალი |
| d100 მმ | 50 ცალი |
| d150 მმ | 50 ცალი |
| d200 მმ | 20 ცალი |
| d300 მმ | 20 ცალი |
| d400 მმ | 50 ცალი |
| d500 მმ | 5 ცალი |

გთხოვთ, დაინტერესებულმა პირებმა და ორგანიზაციებმა კომერციული წინადადებები მოგვაწოდოთ დახურული კონვერტით ა.წ. 23 აგვისტომდე, წარწერით "შესყიდვებისა და ტენდერების განყოფილება", შემდეგ მისამართზე: თბილისი. მიცკევიჩის 18ა. შ.პ.ს. "ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს შენობა, I სართული, კანცელარია.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შესყიდვებისა და ტენდერების განყოფილებას. ტელ: 38-49-61.

### შპს "საქართველოს სახელმწიფო ელეტროსისტემა" რელეების შესყიდვის მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის
### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ რელეების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (T-0506-G-0200) ხელშეკრულება ლოტი N2-ის მიხედვით გაფორმდა შპს "ელეკოსთან".

**სატენდერო კომისია**

ADA
აგრობიზნესის განვითარების პროექტი
AGRIBUSINESS DEVELOPMENT ACTIVITY

**"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" / "ემ-სი-ჯი" და მისი კონტრაქტორი კომპანია "სი-ენ-ეფ-ეი - საქართველო" ახცადებენ საგრანტო განაცხადების მიღებას "აგრობიზნესის გამვითარების პროექტის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად.**

აგრობიზნესის განვითარების პროექტი დაინტერესებულია ითანამშრომლოს აგრობიზნესის სექტორში დასაქმებულ, კომერციულად მდგრად პარტნიორებთან, რომლებიც მზად არიან საქართველოს რეგიონებში განახორციელონ მომგებიანი პროექტები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და მნიშვნელოვნად გაზარდონ შემოსავლები.

გრანტები გაიცემა შემდეგი მიმართულებით:

**ა) საწარმოთა ხელშეწყობა** -კომპონენტი ითვალისწინებს 5-დან 50 ათას დოლარამდე გრანტების გაცემას სოფლად **ა) ფერმერული მეურნეობების მომსახურების ცენტრების; ბ) პირველადი წარმოების; გ) მცირე გადამამუშავებელი წარმოების** განვითარებისათვის. გრანტები გაიცემა მიმღები მხარის 0.5:1- დან 1:1 წილით თანადაფინანსების პირობით.

**ბ) უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის განვითარება** - კომპონენტი ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და სოფლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ წარმოებაში ჩართვას. გრანტები გაიცემა კონკურსის წესით სტრატეგიული და მაღალი რენტაბელობის მქონე პროექტების დასაფინანსებლად. გრანტები გაიცემა მიმღები მხარის 1,5:1 წილით თანადაფინანსების პირობით.

**გრანტის მიმღებთა შერჩევის კრიტერიუმები, შეფასების ფორმა და განაცხადი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ელექტრონულ** მისამართზე:
http://www.mcg.ge/Announcements/2006-08-08-0012-Announcement-PCM-ADA.htm.

განაცხადის წარმოდგენის ვადებია:

**აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებიდან:**
კახეთი, შიდა ქართლი, სამაჩაბლო, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი **- 8 სექტემბრამდე**

**დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს რეგიონებიდან**:
იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი, აფხაზეთი, აჭარა **- 5 ოქტომბრამდე**

**საგრანტო განაცხადი მცირე გადამამუშავებელი წარმოებისა და უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის განვითარების პროექტების დასაფინანსებლად წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დაბეჭდილი, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით, ქართულ და ინგლისურ ენებზე.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით მისამართზე:**
თბილისი, თავისუფლების მოედანი N4, 0105
ტელ: +995 32 92 05 43(44)
ელ-ფოსტა: ada@cnfageorgia.org

**აგრობიზნესის განვითარების პროექტს ახორციელებს**

CNFA
საქართველო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ორეტაპიან ღია ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე. თემა **- კულტურული მემკვიდრეობის ანალიტიკურ-საინფორმაციო სივრცის შექმნა**

***ლოტი 1.***

კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლ(ებ)ზე მუდმივად განახლებადი კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა - ზარზმის და უბისის სამონასტრო კომპლექსების მაგალითზე

***ლოტი 2.***

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტში უძრავ ძეგლებზე არსებული საინფორმაციო ნაკადების მონაცემთა ბაზის შექმნა და ციფრულ ფორმატში გადაყვანა

ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულებისა და ჩაბარების საბოლოო ვადაა:

ლოტი 1 **- 2006 წლის 29 დეკემბერი**

ლოტი 2 **- 2006 წლის 29 დეკემბერი**

შესრულებული სამუშაო (საბოლოო პროდუქცია) დამკვეთს წარედგინება:

**ლოტი 1.**

სამინისტროს კომპიუტერულ ქსელში დაინსტალირებული მონაცემთა ბაზა;

მონაცემთა ბაზის 3 ასლი;

მონაცემთა ბაზის შემადგენელი ყველა გაფართოების ფაილი - სათანადოდ დასათაურებული DVD დისკის სახით.

**ლოტი 2.**

სამინისტროს კომპიუტერულ ქსელში დაინსტალირებული მონაცემთა ბაზა;

მონაცემთა ბაზის 3 ასლი;

მონაცემთა ბაზის შემადგენელი ყველა გაფართოების ფაილი - სათანადოდ დასათაურებული DVD დისკის სახით.

ტენდერის შედეგად ყოველ ცალკეულ ლოტზე გამოვლინდება გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სამუშაოების ცალკეული ნაწილების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მიერ. მათი მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირებისათვის**

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

**დამატებითი მოთხოვნები და ინფორმაცია**

**როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისათვის:**

უნდა გააჩნდეს:

- სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება (ინფორმაცია ყველა მონაწილის, მათ შორის ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ);
- გამოცდილება მსგავსი სამუშაოს შესრულებაზე უკანასკნელი 3 წლის მანძილზე;
- პრეტენდენტის ტექნიკური აღჭურვილობა.

**საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების მითითების გარეშე, რომელშიც აღნიშნული იქნება:**

- მომსახურების ზოგადი აღწერილობა,
- სამუშაოთა შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი (შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);
- ინფორმაცია პროექტის განხორციელების მიმდინარეობაზე ხარისხის კონტროლის შიდა საწარმოო სისტემის შესახებ;
- მეთოდიკა სამუშაოების ჩატარების უზრუნველსაყოფად (მოთხოვნილი პროდუქციის მიხედვით);

ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის წარმომდგენი.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე, შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220 101 107 ანგარიშის ნომერზე N200122900. სახაზინო კოდი 30 200 3000.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების მიღება იწარმოებს 2006 წლის 12 სექტემბრიდან 15 სექტემბრის 17 საათამდე სატენდერო მოსაკრებლის - 200 ლარის - გადახდის შემდეგ.

განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი - ქსეროასლის სახით) 2006 წლის 12 სექტემბრიდან 15 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სანაპიროს ქ. N4, IV სართული, ოთახი 405.

დაგვიანებით შემოსული განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო პერიოდში მოხდება წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო დაზუსტება.

დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა შერჩეულ პრეტენდენტებს 2006 წლის 21 სექტემბრიდან 25 სექტემბრის 17 საათამდე.

სატენდერო წინადადების წარდგენა უნდა მოხდეს 2006 წლის 2 ოქტომბრიდან 4 ოქტომბრის 17 საათამდე ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი ქსეროასლის სახით). პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ორივე ლოტზე ერთი სატენდერო წინადადება. სატენდერო წინადადების ვადა განსაზღვრული უნდა იყოს მინიმუმ 2006 წლის 16 ნოემბრამდე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: **ლელა დაღელაშვილი, თენგიზ კოდუა, ინგა ქარაია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.**

**ტელეფონები: 995 006. 999 196, 932 188**

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ინფორმაცია

თანახმად "შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ სასაზღვრო პოლიციის მიერ ტენდერით, ფასთა კოტირებით და ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით შესყიდული საქონლის და მომსახურების სიას:

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | ლოტი № | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზ. | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| **ღია ტენდერი** | | | | | | | |
| კვების პროდუქტები | | | | | | | |
| შ.პ.ს "სათაფლია" | ლოტი № 1,9 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ | 48500 | 5,95 | 288575 | ლოტები დაყოფილია მოწოდების ადგილების მიხედვით |
| შ.პ.ს "ალფა" | ლოტი № 10,18 | შაქარი | კგ | 17300 | 1,60 | 27680 | |
| **ფასთა კოტირება** | | | | | | | |
| სარემონტო სამუშაოები | | | | | | | |
| შპს ,,სამშენებლო ჰოლდინგური კომპანია" | ლოტი №6 | ავიარაზმის და დეპარტამენტის ბალანსზე არსებული სატრანსფორმატორო შენობის გადახურვა | | | | 3518.56 | |
| შპს ,,თუთამშენი" | ლოტი №1 | V სართულის სანკვანძების სარემონტო სამუშაოები | | | | 2688 | |
| | ლოტი №2 | სასადილოში არსებული ტუალეტის რემონტი | | | | 1180 | |
| | ლოტი №3 | სხვადასხვა მცირე სამუშაოები | | | | 4110 | |
| | ლოტი №4 | II.III.VI სართულის სანკვანძების სარემონტო სამუშაოები | | | | 45936 | |
| | ლოტი №5 | ცენტრალური წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მიწყობა რეაბილიტაცია | | | | 3220 | |
| | ლოტი №7 | დეპარტამენტის ტერიტორიაზე სასადილოს მხარეს არსებული წყალმომარაგების სისტემის მონტაჟი | | | | 1010 | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| შპს ,,თუთამშენი" | ლოტი №8 | დეპარტამენტის ტერიტორიაზე არსებული 75 kw დიზელგენერატორის მონტაჟი და ცენტრალურ სისტემასთან მიერთება | | | | 2357 | |
| | ლოტი №9 | VII სართულის სანკვანძების სარემონტო სამუშაოები | | | | 1147 | |
| სულ | | | | | | 61648 | |
| **ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით შესყიდული საქონელი** | | | | | | | |
| ი.მ. "ზაზა პაიჭაძე" | | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ | 13000 | 6,90 | 89700 | |
| სულ | | | | | | 89700 | |

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს

# განცხადება

## შიდა წყალსატევებში და ტბებში თევზჭერის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარების შესახებ

| | |
|---|---|
| თევზჭერის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება (ან სამთავრობო დაწესებულება) | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. თბილისი გულუას ქ.№6 (ორთაჭალა)<br><br>**აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ა/წ 22 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 21 სექტემბერს 11 საათზე.** |
| აუქციონის კონკრეტული ობიექტი | ტაბაწყურის ტბა, ფარავნის ტბა, კარწახის ტბა, ჯანდარის ტბა, საღამოს ტბა, სიონის წყალსაცავი, ხრამის წყალსაცავი – ჭაფალას, ხრამულის, ფარავნის კობრის, კარჩხანას, ქაშაპის, თეთრი სქელშუბლას, ჭრელი სქელშუბლას, თეთრი ამურის, ღორჯოს და შემაიას თევზჭერაზე. |

აუქციონზე გამოსატანი ყველა ქვოტა შეადგენს 516.36 ტონას, რომელიც დაყოფილია ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტების შესაბამისად:

| ლოტი | თევზის სახეობა | ქვოტა | საწ. ფასი | ,,ბე" (20%) | ,,ბიჯი" (10%) |
|---|---|---|---|---|---|
| ა (ტაბაწყურის ტბა) | ჭაფალა – 17.0 ტ.<br>ხრამული – 1.45 ტ.<br>ფარავნის კობრი – 1.45 ტ. | 19,90 ტ. | 335,2 ლარი | 67 | 34 |
| ბ (ფარავნის ტბა) | კარჩხანა – 6.4 ტ.<br>ხრამული – 2.0 ტ.<br>ქაშაპი - 0.74 ტ.<br>ფარავნის კობრი -2.96 ტ. | 12.1 ტ. | 221 ლარი | 44 | 22 |
| გ (კარწახის ტბა) | კარჩხანა – 31.8 ტ.<br>კობრი – 8.28 ტ. | 40.08 ტ. | 426 ლარი | 85 | 43 |
| დ (ჯანდარის ტბა) | თეთრი სქელშუბლა– 33.0 ტ.<br>ჭრელი სქელშუბლა– 148.4 ტ.<br>თეთრი ამური–6.34 ტ.<br>კარჩხანა – 104.0 ტ.<br>ღორჯო - 1.2 ტ.<br>კობრი – 1.74 ტ. | 294,68 | 7 048 ლარი | 1410 | 705 |
| ე (საღამოს ტბა) | ხრამული – 13.92 ტ.<br>ქაშაპი – 12.2 ტ. | 26.12 | 658 ლარი | 132 | 66 |
| ვ (სიონის წყალსაცავი) | შემაია – 7.76 ტ.<br>ხრამული – 3.48 ტ.<br>კობრი – 4.38 ტ.<br>თეთრი სქელშუბლა – 2.09 ტ. | 17.71 ტ. | 984 ლარი | 197 | 98 |
| ზ (ხრამის წყალსაცავი) | კარჩხანა – 83,44 ტ.<br>ხრამული – 22.33 ტ. | 105,77 | 1334 ლარი | 267 | 133 |

აუქციონზე "ბიჯის" სიდიდე წარმოადგენს საწყისი ფასის 10%.

"ბე" გადახდის ქვითარი თან უნდა ერთვოდეს განცხადებას აუქციონში მონაწილეობისთვის.

"ბე"- გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

**ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000.**

შენიშვნა: "ბე" გადახდილ უნდა იქნეს უშუალოდ აუქციონში მონაწილე სუბიექტის მიერ.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ასევე სალიცენზიო მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს:

ლოტი ა – 70 ლარი
ლოტი ბ – 70 ლარი
ლოტი გ – 120 ლარი
ლოტი დ – 400 ლარი
ლოტი ე – 90 ლარი
ლოტი ვ – 70 ლარი
ლოტი ზ – 400 ლარი

სალიცენზიო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

**ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300033022.**

| | |
|---|---|
| თევზჭერის ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია: | განცხადება, სადაც აღნიშნულია ლოტის დასახელება და რაოდენობა.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც აუცილებლად დარეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში<br>ბ)ფიზიკური პირისათვის (საქართველოში მაცხოვრებელი)იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.<br><br>ვ). "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 28 სექტემბრის №386 ბრძანებით დამტკიცებული ,,სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვისა და საწყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად<br><br>**შენიშვნა:** გამარჯვებული ვალდებულია ასევე ლიცენზიის მიღებამდე წარუდგინოს სამინისტროს ბუნებრივი რესურსის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი კანონმდებლობის შესაბამისად. |

გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.

თევზჭერისათვის განკუთვნილი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების დასაშვები მოცულობა დგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

გთხოვთ, დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართოთ ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. თბილისი გულუას ქ.№6 (ორთაჭალა) ტელ 275760

| | |
|---|---|
| თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადაა | თითოეულ თევზის სახეობაზე ჭერის ვადები განისაზღვრება "ნადირობისა და თევზჭერის დაწყებისა და დამთავრების თარიღების დამტკიცების თაობაზე" მინისტრის 2002 წლის № 97 ბრძანების შესაბამისად. |